პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი
22 აპრილი
1940 წ.
№ 93 (5794)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

70 წელი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან

ლენინიზმი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში

დღეს სრულდება 70 წელი უდიდესი გენიოსის, რევოლუციური მეცნიერების კორიფეის, ბოლშევიზმის დამაარსებლის, ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის და კომუნისტური ინტერნაციონალის შემქმნელისა და ბელადის, მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებიდან.

XIX და XX საუკუნეთა ისტორიაში აღმართულია ოთხი შესანიშნავი ადამიანის ბუმბერაზული ფიგურა, მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია იცნობს ოთხ გენიალურ მოაზროვნეს და უდიდეს რევოლუციონერს — მარქსს, ენგელსს, ლენინს და სტალინს. პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას მარქსის შემდეგ არ წამოუყენებია ისეთი გიგანტური ფიგურა, როგორიც იყო ლენინი.

ლენინი!

განა შეიძლება ილაპარაკო ამ ტიტანური ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, თუ არ გულისხმობ ბოლშევიკების პარტიის გმირულ წარსულს? განა შეიძლება პროლეტარული რევოლუციის ამ გენიალური სტრატეგის ნათელი და მომხიბლავი ცხოვრება არ დაუკავშირო სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებებს, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი იდეების უმაგალითო ზეიმს?

შესანიშნავად სთქვა ჩვენი ეპოქის უდიდესმა პოეტმა ვ. მაიაკოვსკიმ:

„ჩვენ ვამბობთ — ლენინ,
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ — პარტია,
და ვგულისხმობთ —
ლენინი ჩვენი".

ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული. ის იყო რევოლუციის ნამდვილი გენია. რევოლუციურ შეჯახებათა უდიდესი ოსტატი, უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, ნამდვილი მთის არწივი, უაღრესად პრინციპული და უშიშარი ბრძოლებში, ადამიანი, რომელსაც შესწევდა უნარი დაეპყრო „მიუდგომელი" პოზიციები, რევოლუციური მარქსიზმის მხარეზე გადმოეყვანა პროლეტარიატის საუკეთესო ელემენტები. მას ღრმად სწამდა პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალა.

„მასების შემოქმედებითი ძალების რწმენა,—როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს,—ეს არის სწორედ ის თავისებურება ლენინის მოღვაწეობაში, რომელიც აძლევდა მას სტიქიის გაგებისა და მისი მოძრაობის პროლეტარული რევოლუციის კალაპოტში ჩაყენებისა და წარმართვის საშუალებას".

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებიდან ლენინი ამხანაგ სტალინთან ერთად დაუღალავად აშენებდა ახალი ტიპის მარქსისტულ პარტიას, ხოლო დიადი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასის მსოფლიო პარტიას—კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ცარიზმის ბატონობის მრისხანე წლებში, როდესაც რუსეთში ბარბაროსულად იდევნებოდა თავისუფალი აზრი და სიტყვა, ვ. ი. ლენინის გენიალური თეორიული შრომები აიარაღებდნენ მშრომელ მასებს რევოლუციური მარქსიზმის ყოვლისშძლე იდეებით, ეს შრომები გამარჯვების ღრმა რწმენას ნერგავდნენ პროლეტარულ მასებში, მოუწოდებდნენ მათ ცარიზმის წინაამდეგ გადამწყვეტი შეტევისაკენ.

ვ. ი. ლენინი გამანადგურებლად ებრძოდა რევოლუციური მარქსიზმის მტრებს, — ნაროდნიკობას, როგორც მარქსიზმის უბოროტეს მტერს, „ლეგალურ მარქსიზმს", „ეკონომიზმს", მენშევიზმს და მის ყველაზე უფრო საზიზღარ ნაირსახეობას—ტროცკიზმს.

ლენინიზმი გაიზარდა და განმტკიცდა მარქსიზმის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში. ლენინი იყო მარქს-ენგელსის ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი მოწაფე, მაგრამ იგი მარტო შემსრულებელი კი არ იყო მარქს-ენგელსის მოძღვრებისა.

ლენინის, როგორც შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური წარმომადგენლის, უდიდესი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან, მტკიცედ დაიცვა რა მტრებთან ბრძოლაში მარქსიზმის იდეური სიწმინდე, წინ წასწია და განავითარა მარქსისტული მოძღვრება, „და სწორედ იმიტომ, — ვკითხულობთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" სახელმძღვანელოში,—რომ ლენინმა და ლენინელებმა წინ წასწიეს მარქსისტული თეორია, ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს".

ლენინის გენიამ ბევრი რამ ახალი შეიტანა მარქსიზმის იდეურ საგანძურში. განავითარა რა მარქსის მოძღვრება კაპიტალიზმის შესახებ, ლენინმა დაამუშავა თეორია იმპერიალიზმის შესახებ, აღმოაჩინა იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი, და ამ კანონის საფუძველზე დებულება — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ლენინმა წამოაყენა გენიალური იდეა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ, მან განავითარა მარქსისა და ენგელსის იდეა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, აღმოაჩინა რა საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, მან დაამუშავა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გარემოცვის პირობებში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ფორმები და საშუალებები. მან დაამუშავა იმპერიალიზმის პირობებში ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, როგორც საერთო პროლეტარული რევოლუციის შემადგენელი ნაწილი.

გამოდიოდა რა მარქსისა და ენგელსის გენიალური დებულებებიდან, ლენინმა შექმნა მოძღვრება ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის აშენების შესახებ და თავის უახლოეს თანამებრძოლთან, ამხანაგ სტალინთან ერთად ბრწყინვალედაც განახორციელა ახალი ტიპის პარტიის აშენების გენიალური გეგმა.

მარქსისა და ენგელსის იდეური თანამეგობრობა ახალ ეპოქაში სახიერდება ლენინისა და სტალინის დიად იდეურ თანამეგობრობაში. ჯერ კიდევ ბოლშევიზმის განთიადზე ახალგაზრდა სტალინი, აღგზნებული დიდი ლენინის თეორიული სტატიებით, ოცნებობდა მასთან შეხვედრაზე, იდგა რა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საჭესთან, დაუღალავად ეწეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას, რაზმავდა. ამიერ-კავკასიის მშრომელებს ლენინის დროშის ქვეშ, ჰქმნიდა პირველ ლენინურ-ისკრულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ამხანაგი სტალინი, როგორც ლენინის უახლოესი თანამებრძოლი და ყველაზე უფრო ერთგული მოწაფე, ლენინთან ერთად აშენებდა ახალი ტიპის პარტიას, ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდა დიად ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ლენინთან ერთად ამუშავებდა საბჭოების ნორჩი რესპუბლიკის განმტკიცების საკითხებს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიამ ხელმძღვანელობა დააკისრა ამხანაგ სტალინს.

ამხანაგი სტალინი—ეს არის ლენინი დღეს.

სტალინმა, როგორც ლენინის საქმის გენიალურმა განმგრძობმა, ახალი აღმოჩენებით გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური თეორია. განაზოგადა რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება, ამხანაგმა სტალინმა ჩვენი პარტიის XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში მოგვცა თეორია კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ერთ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, ლენინის მოძღვრება ინტელიგენციის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა გაამდიდრა რა ბოლშევიზმი ახალი აღმოჩენებით, პარტია, მთელი კომუნისტური ინტერნაციონალი შეაიარაღა ყოვლისშძლე თეორიული იარაღით.

ამხანაგ სტალინის ფასდაუდებელ ნაშრომებს წარმოადგენს მისი წიგნი „ლენინიზმის საკითხები" და მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შედგენილი უბადლო სახელმძღვანელო—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

16 წელმა განვლო ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ. ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხალხთან ერთად, მტკიცედ ახორციელებს ლენინის ანდერძს.

დიადი ფიცი, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასდო პარტიის სახელით ლენინის კუბოსთან 1924 წლის 26 იანვარს—განხორციელებულია.

დიადი და უძლეველი ჩვენი პარტია შემჭიდროებული და დარაზმულია ისე როგორც არასოდეს. ფოლადის ჯავშნით მოსილია სოციალიზმის ქვეყანა, ურღვევია ხალხთა სტალინური ოჯახი—სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, დიადი და უძლეველია ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელმაც მთელ მსოფლიოს უჩვენა გმირობისა და სიმამაცის საუცხოო ნიმუშები. ურყევი და უძლეველია კავშირი მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის.

გიგანტურად გაიზარდა სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, ბრძნული სტალინური საერთაშორისო პოლიტიკა ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს. კარელია-ფინეთის მეთორმეტე მოკავშირე რესპუბლიკის შექმნა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი ტრიუმფია.

ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 70 წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი და ყოვლისშძლე იდეები ბრწყინვალე გამარჯვებებს ზეიმობენ, როდესაც ჩვენი ქვეყანა შესულია განვითარების ახალ ხანაში — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში, როცა გმირი საბჭოთა ხალხი თავდადებულად იბრძვის მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი იდეები, რომელთათვისაც არ არსებობენ მიჯნები, გაიმარჯვებენ მთელ მსოფლიოში.

ი. სტალინი

მთის არწივი

პირველად ლენინს 1903 წელს გავეცანი. მართალია, ეს იყო შორიდან გაცნობა, მიწერ-მოწერით, და არა პირადი. მაგრამ მან ჩემში წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა, და ეს შთაბეჭდილება პარტიაში მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში თან მსდევდა. მე მაშინ ციმბირში ვიყავი გადასახლებული. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან გაცნობამ 90-იანი წლების დამლევიდან და განსაკუთრებით 1901 წლის შემდეგ, „ისკრის" გამოცემის შემდეგ, მე მიმიყვანა იმ რწმენამდე, რომ ჩვენ ლენინის სახით არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალში ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი კი არ ყოფილა, ის იყო მისი ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და მისი გადაუდებელი საჭიროებანი. როდესაც ვადარებდი მას ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს, მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინის თანამებრძოლნი — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები — მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივი, ბრძოლაში უშიშარი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი. ეს შთაბეჭდილება ისე ღრმად ჩამწვდა სულში, რომ ჩემთვის აუცილებელი გახდა მის შესახებ მიმეწერა ერთი ჩემი ახლობელი მეგობრისათვის, რომელიც მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა, და მეთხოვა მისთვის გამოეთქვა თავისი შეხედულება. რამდენიმე ხნის შემდეგ, უკვე ციმბირში გადასახლებულმა, — ეს იყო 1903 წლის დამლევს, — მე მივიღე ჩემი მეგობრისაგან აღფრთოვანებული პასუხი და უბრალო, მაგრამ ღრმა შინაარსიანი წერილი ლენინისა, რომლისთვისაც, როგორც გამოირკვა, ჩემს მეგობარს გაეცნო ჩემი წერილი. ლენინის წერილი შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულს, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და შეკუმშულად იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის. მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ, გარკვევით, შეკუმშულად და გაბედულად წერა — როდესაც თვითეული ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ტყვიასავით ვარდება. ამ უბრალო და გაბედულმა პატარა წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ის აზრი, რომ ლენინის სახით ჩვენ გვყავს ჩვენი პარტიის მთის არწივი. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ლენინის ეს წერილი, ისე როგორც სხვა მრავალი წერილიც, ძველი იატაკქვეშელის ჩვეულების მიხედვით, დავწვი.

ამ დროიდან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ლენინთან.

---

*) 1924 წლის 28 იანვარს კრემლის კურსანტების საღამოზე ი. სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვიდან ლენინის შესახებ.

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში

ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავისათვის

ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაზშირდა სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის დათვალიერება. ათასობით მუშა, წითელარმიელი, მოსწავლე ეცნობა მუზეუმის დარბაზებში დოკუმენტებს, მხატვრულ ნაწარმოებებსა და სხვა მასალებს, რომლებიც მკაფიოდ გვიხატავენ ბოლშევიკური პარტიის შემქმნელის ვ. ი. ლენინის და მისი უახლოესი თანამებრძოლის — ი. ბ. სტალინის ცხოვრებას.

მუზეუმის დარბაზებში პირველად იქნება გამოფენილი მთელი რიგი ახალი დოკუმენტები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. დამთვალიერებლები ნახავენ სოფელ შუშენსკში პეტროვას სახლის იმ ბინის ნამდვილ გეგმას, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა. გეგმა დახატულია ნ. კ. კრუპსკაიას ხელით 1934 წლის დამლევს.

დარბაზებში, რომლებიც მიძღვნილია რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის ლენინის ბრძოლისადმი, გამოფენილი იქნება ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ფურცელი „რევოლუციური ახალგაზრდობის ამოცანები", რომელიც ილიჩმა 1900 წელს დასწერა, და ცალკეულ ანაბეჭდად გამოცემული სტატია ვ. ი. ლენინისა „რით დავიწყოთ?", რომელიც „ისკრიდან" არის გადმობეჭდილი.

რუსეთის პირველი რევოლუციისადმი მიძღვნილ ერთერთ დარბაზში ნახჩვენები იქნება საბრალდებო აქტი ამხანაგ სტალინის მიერ 1904 წელს მოწყობილი ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის საქმის გამო.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პირი იმ დეპეშისა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა 1919 წლის 28 ივნისს გაჰგზავნა ლენინის სახელზე ვიდლიცთან თეთრფინელთა განადგურების შესახებ; ეს დეპეშა გამოფენილია სამოქალაქო ომის დარბაზებში.

აქვე გამოფენილია ფოტოგრაფიული პირები შენიშვნებისა, რომლებიც ლენინმა 1919 წლის 28 აგვისტოს წააწერა დეპეშას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 14 სახელმწიფოს გამოლაშქრების შესახებ. ამ დეპეშაზე ლენინი ჩამოთვლის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ინტერვენციაში.

მუზეუმის დარბაზებში გამოფენილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი მიძღვნილი ახალი მხატვრული ნაწარმოებნი. მათ შორის არის მხატვარ ვ. პ. პერელმანის დიდი ტილო — „ლენინი ბერნის ბიბლიოთეკაში 1915 წელს" და მხატვარ ნ. ფ. დენისოვსკის სურათი — „ს. ორჯონიკიძე რაზლივში ლენინთან 1917 წელს". (საკდესი).

საბჭოთა აზერბაიჯანის XX წლისთავისათვის

ბაქო, (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო ფართოდ ემზადება აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სახელოვანი მეოცე წლისთავის შესახვედრად. ნავთის სარეწაოებზე და ბაქოს საწარმოებში ფართოდ გაიშალა ორი დღესასწაულის— საბჭოთა აზერბაიჯანის 20 წლისთავისა და 1 მაისის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. „ლენინნეფტი" ეჯიბრება „ორჯონიკიძენეფტს", სარეწაოები ეჯიბრებიან ერთმანეთს. აღებულია კონკრეტული ვალდებულებანი ნავთის ამოღების სადღეღამისო გეგმები შესრულებულ იქნას 104 პროცენტით.

22 აპრილს იწყება სრულიად-აზერბაიჯანის ოლიმპიადა, მიძღვნილი საბჭოთა აზერბაიჯანის 20 წლისთავისადმი. ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებს 850 საუკეთესო აშუღი, მომღერალი, მოცეკვავე, წამკითხველი აზერბაიჯანის ყველა რაიონებიდან. ოლიმპიადა გაგრძელდება 5 დღეს. ოლიმპიადას აწყობს ხალხური შემოქმედების სახლი.

იქ, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი

ლენინგრადი, 19 აპრილი (საკდესი). „1894 წელს ამ სახლში, № 13 ბინაში, ცხოვრობდა ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი, მსოფლიო კომუნიზმის ბელადი ვ. ი. ლენინი". —ასე გვაუწყებს ლენინგრადში ილიჩის (ყოფილი ბოლშოი კაზაჩის) № 7/4 შესახვევში მდებარე ძველებური სამსართულიანი სახლის ფასადზე მიკრული სამახსოვრო დაფა.

ეზოდან კიბეს მესამე სართულში ავყევართ. აი № 13 ბინაც. იქ დაბალჭერიანი სამი პატარა ოთახია. უკანასკნელი ოთახი—აივნის ბოლოში — ახალგაზრდა ვლადიმერ ილიას-ძეს ეკავა. ეს არის 13 მეტრიანი ოთახი, აქვს ორი პატარა ფანჯარა, ერთიმეორის პირდაპირ. ერთერთ ფანჯარასთან დგას თეთრი შეუღებავი მაგიდა ნავთის ლამპითურთ, რამდენიმე უბრალო ვენური სკამი, უხეში მატყლის საბანგადაფარებული რკინის საწოლი, შინნაკეთები სავარძელი, კომოდი, კუთხეში ღუმელთან — პირსაბანი, კედელზე ტანისამოსის საკიდი.

ამ უბრალო ოთახში ცხოვრობდა კაცობრიობის დიდი გენიოსი 1894 წლის 24 (12) თებერვლიდან 1895 წლის 7 მაისამდე (25 აპრილამდე). აქ დასწერა ვლადიმერ ილიას-ძემ თავისი სახელგანთქმული ნაშრომი „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" და შრომა „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში".

გვერდით, მეზობელ ოთახში, გამოფენილია სხვადასხვა მასალა, დოკუმენტების ფოტოპირები, ფოტო-სურათები და სხვ., რომლებიც 1894-95 წლებს ეკუთვნიან.

აქ ყოველდღე მოდიან მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლენი, წითელარმიელები. დიასახლისები. ისინი ყურადღებით ეცნობიან ილიჩის ოთახის მოწყობილობას, მაშინდელი პერიოდის ისტორიულ დოკუმენტებს.

ვ. ი. ლენინის დეპეშები ამხ. ს. ორჯონიკიძისადმი

ორჯონიკიძეს

პირველი გთხოვთ მაცნობოთ სტალინის ჯანმრთელობა და ექიმების დასკვნა ამის შესახებ მეორე ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მიგვეღო საკონცესიოდ თურქებისაგან სპილენძის ის მაღაროები ბათუმის სამხრეთით, რომლებიც მათ გადაეცათ. მაცნობეთ გადადგმულია თუ არა ნაბიჯები და როგორი მესამე კრასინი მოსკოვშია, საჭიროა ვისარგებლოთ ამით, რათა სავსებით გამოვარკვიოთ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მდგომარეობა მეოთხე მაცნობეთ რესკეს ჯანმრთელობა და როდის ათავებს იგი მკურნალობას.

ლენინი

17 ივლისი, 1921 წ.

თბილისი ორჯონიკიძეს

მივიღე თქვენი 2064 მაცნობეთ გვარი და მისამართი ექიმისა რომელიც სტალინს მკურნალობს და რამდენ დღეს იყო სტალინი ჩამოშორებული მუშაობას ველი პასუხს შიფრზე იქნებით თუ არა 7 აგვისტოს პლენუმზე. № 835.

ლენინი

მოსკოვი, კრემლი.
25/VII-21 წ.

მეორე ხუთწლედის სესხის მე-15 ტირაჟი

(მე-4 წლის გამოშვება)

სარატოვი, 19 აპრილი (საკდესი). გუშინ დამთავრდა მეორე ხუთწლედის სესხის (მე-4 წლის გამოშვება) მე-15 ტირაჟი.

სულ გათამაშებულია 1.210 ათასი მოგება 196.420 ათასი მანეთის რაოდენობით.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ა. ს. ჩისტიაკოვი დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ლენინ, შენ მუდამ იცოცხლებ!

აცრემლებულან მთანია —
ფშავ-ხევსურეთის დევები,
თავზე მეხგადანაყარი
სტიროდენ ყორანთ ხევები.
შავ ღრუბლებს დაუთალხია
თეთრი, მთათ მოსახვევები,
აღარსად დანადირობდნენ:
„ფრინველნ-ქორები, ძლევები".
გაყუჩებული აძეძი *)
იწვა სნეული გველივით,
ერწო სულგანაბულიყო
უკაცურ მინდორ-ველივით.
მოჰქროდენ შავი ნისლები
მთებში, გაჭრილნი ხელივით,
მოჰქონდათ მწარე ამბები
პირშავი კუპრიელივით.
მთებს ქარი შემოჰღმუოდა
როგორც ნადირი მშიერი.
„მოკვდაო დიდი ლენინი,
ბელადი, მხნე და ძლიერი!
მოკვდაო მამა ხალხისა,
დაობლდა მშრომელი ერი.
გლოობსო მთელი ქვეყანა,
ხარობსო მტერი ცბიერი".
ლენინის საქმე ხომ ცოცხლობს,
თუ შეისუდრა ცხედარი!
ადვილად როდი მოკვდება
ბრძოლებში რკინის მხედარი!
თუმც განისვენებს სხეული
მღელვარე დაუდეგარი,
კვლავ გვესმის მისი სიტყვები
ღრმა, ბრძნული, მეხზე მჭექარი.
ცხოვრების ნაყოფს ისხამენ
ლენინ! შენს ბაღში რგულები,
ვიდრე ხალხია ცოცხალი,
შენ მკვდარი არ გვეგულები.
შენ ვერ გიპოვის სიკვდილი, —
მილიონების გულებში
იცოცხლებ სამარადისოდ
მზით გაშლილ თაიგულებში.
რევოლუციის მგზნებარე
ცეცხლით რომ გული გეწოდა,
იმიტომ ფოლადის კაცმა
შენ „მთის არწივი" გიწოდა.
გაცისკროვნებულ შენს აზრებს
ის თავიდანვე იცავდა
და შენი საქმის განგრძობას
სისხლის წვეთებით ჰფიცავდა.
აღმოჩნდა შენი მოწაფე
ლომგული, რკინის-მკვნეტელი,
სიკეთის შადრევანი და
საუნჯე დაუშრეტელი,
გმირი სოცმშენებლობისა,
ბედნიერების მჭედელი,
მშრომელთა მეგობრობისა
გაურღვეველი კედელი.
შეჰფიცა ხალხს და პარტიას,
რომ შენი დროშა ეტარა,
რომ შენი საქმე ეტვირთვა
და მხრებით გადაეტანა!
შენი უკვდავი ანდერძი,
რაც პარტიისთვის გებარა,
გაძღოლა კომუნიზმისკენ
ჯუღაშვილს გადაებარა...
ააგო სოციალიზმი,
წინ მიჰყავს მთელი ქვეყანა,
შენც არასოდეს მოჰკვდები,
მუდამ იცოცხლებ ჩვენთანა.

ა. კუდიანაშვილი

სოფ. ვეძათ-ხევა,
თიანეთის რაიონი.

---

*) აძეძი—მდინარეა.

25 აპრილს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება ს. ი. ფრიშენბერგის ფასიანი ლექცია რუსულ ენაზე. თემა:

„ომი ევროპაში და ახლო აღმოსავლეთი".

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები წინასწარ იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პრ. № 21.

სალარო ღიაა ყოველდღე დღის 12-დან 5 ს-მდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

(მოკლე ბიოგრაფია*)

„წიგნის „რა ვაკეთოთ?" ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ლენინმა თავის ამ განთქმულ წიგნში:

1) მარქსისტული აზროვნების ისტორიაში პირველმა გააშიშვლა ფესვებამდე ოპორტუნიზმის იდეური სათავეები, გვიჩვენა, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა მდგომარეობენ ქედის მოხრაში მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის დამცირებაში;

2) მაღლა აიყვანა მნიშვნელობა თეორიისა, შეგნებულობისა, პარტიისა, როგორც სტიქიური მუშათა მოძრაობის გამარევოლუციურებელი და ხელმძღვანელი ძალისა;

3) ბრწყინვალედ დაასაბუთა ძირითადი მარქსისტული დებულება, რომელიც ამბობს, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან;

4) მოგვცა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ საფუძველთა გენიალური დამუშავება" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 46).

ლენინის მოწაფეები ჰქმნიდნენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს რუსეთში. ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ფუძემდებელი ამიერკავკასიაში იყო ამხანაგი სტალინი ლ. კეცხოველთან და ს. წულუკიძესთან ერთად. სტალინის უშუალო დახმარებით ლადო კეცხოველმა ბაქოში 1901 წელს მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელშიც სწარმოებდა გაზეთ „ისკრის" ცალკე ნომრების გადაბეჭდვაც. ამ არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა ლენინურ-ისკრული გაზეთი „ბრძოლა", რომელიც სტალინისა და კეცხოველის ხელმძღვანელობით გამოდიოდა.

ლენინური „ისკრის" მომხრენი იმ დროს ისკრელებად იწოდებოდნენ; ბოლშევიკებად ისინი იწოდებიან მხოლოდ 1903 წლიდან, პარტიის II ყრილობის დროიდან, სადაც ლენინმა გაჩაღა ბრძოლა ოპორტუნისტებთან პროლეტარიატის დიქტატურის, პარტიის წესდების საკითხებზე, ნაციონალურ საკითხზე.

ლენინმა დიდი ძალ-ღონე მოახმარა იმას, რომ უზრუნველეყო „ისკრის" გამარჯვება ყრილობაზე. ლენინისა და მტკიცე ისკრელების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერდნენ ლენინს, უაღრესად გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მერყევი ისკრელები მარტოვის მეთაურობით, აქსელროდი, აგრეთვე ტროცკი და ყრილობის მთელი ოპორტუნისტული ნაწილი.

პროგრამის განხილვის დროს ოპორტუნისტები გამოდიოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ რსდმპ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მოთხოვნები გლეხობის საკითხზე, ილაშქრებდნენ ერების თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ. ლენინმა ყველა ამ გამოლაშქრებას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. ყრილობამ მიიღო „ისკრის" მიერ წარმოდგენილი პროგრამა, რომელიც მუშათა კლასის რევოლუციური პროგრამა იყო.

მაგრამ ლენინს ოპორტუნისტების წინააღმდეგ განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლის გაწევა დასჭირდა პარტიის წესდების საკითხზე. ყველაზე მკვეთრი უთანხმოებანი გაიშალა წესდების პირველი პარაგრაფის გამო — პარტიის წევრობის ფორმულირების გამო. უნდა იყოს პარტია ორგანიზაციული მთელი, თუ რაღაც უსახო, ჩამოუყალიბებელი — ასეთი იყო საკითხის არსი, რომლის გარშემო გაჩაღდა ბრძოლა ყრილობაზე. თუ მტკიცე ისკრელებისაგან მერყევი ისკრელების ჩამოშორებამ, მათმა კავშირმა ცენტრთან და მათთან აშკარა ოპორტუნისტების შეერთებამ საშუალება მისცეს მარტოვს გადაეძლია პარტიის წევრობის საკითხის გადაწყვეტის დროს, სამაგიეროდ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა საკითხზე თავისი კენჭისყრით ყრილობამ განამტკიცა მარტოვის მომხრეთა დამარცხება და ლენინის მომხრეთა გამარჯვება. „ამ მომენტიდან ლენინის მომხრეებს, რომლებმაც ყრილობაზე არჩევნების დროს ხმების უმრავლესობა მიიღეს, უწოდეს ბოლშევიკები, ხოლო ლენინის მოწინააღმდეგეებს, რომლებმაც ხმების უმცირესობა მიიღეს, უწოდეს მენშევიკები" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 53).

II ყრილობა ვერ ამოჩნდა სათანადო სიმაღლეზე ორგანიზაციული საკითხების დარგში. მენშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ იზოლირებულნი პარტიაში, არ იყვნენ მხილებულნი მუშათა კლასის წინაშე. ეს ამოცანა ყრილობის მიერ არც კი ყოფილა დასმული პარტიის წინაშე. აი რატომ იყო, რომ II ყრილობის შემდეგ ლენინმა უაღრესად მწვავე ბრძოლა გააჩაღა მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო ოპორტუნიზმმა.

ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა დასწერა სახელგანთქმული წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", რომელშიც დაამუშავა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები.

„ამ წიგნის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიცვა პარტიულობა წრეობანის წინააღმდეგ და პარტია დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, გაანადგურა მენშევიკური ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში და ჩაუყარა ორგანიზაციული საფუძვლები ბოლშევიკურ პარტიას.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ წიგნის მნიშვნელობა. მისი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა **მოძღვრება პარტიაზე**, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ **ორგანიზაციაზე**, როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითად **იარაღზე**, ურომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლაში". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 62). ასეთ მებრძოლ მუშათა პარტიას ჰქმნიდა ლენინი სწორედ მაშინ, როცა რუსეთს ფართოდ მოედო მუშათა და გლეხთა მოძრაობა.

1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. მეფეს უნდოდა ომით ჩაეხშო რევოლუცია. მან საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია. რუსეთ-იაპონიის ომმა რევოლუცია დააჩქარა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მენშევიკები ობორონცობის პოზიციაზე დადგნენ, ლენინისა და ბოლშევიკების აზრით კი ომში ცარიზმის დამარცხებას შედეგად მოჰყვებოდა ცარიზმის დასუსტება და რევოლუციის გაძლიერება. ასეც მოხდა.

ლენინი იმ დროს ემიგრანტი იყო და შვეიცარიაში იმყოფებოდა. პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვარს მომხდარი სისხლისღვრის შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე ლენინმა სთქვა: ეს არის რევოლუციის დასაწყისი რუსეთში.

დაწყებული რევოლუცია უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. საჭირო იყო თავისი ძალების ორგანიზება, შეთანხმება ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. იმ დროს გაზეთი „ისკრა", აგრეთვე პარტიის საბჭო მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტი II ყრილობაზე არჩეული მერყევ, არასწორ ხაზს ატარებდა. და თუ ლენინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოითხოვდა III ყრილობის მოწვევას, მით უფრო დაჟინებით წამოაყენა მან ეს მოთხოვნა ახლა. ყრილობის რაც შეიძლება მალე მოწვევის მოთხოვნას მხარს უჭერდა პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა რუსეთში. ყრილობისათვის მომზადების საქმეში განსაკუთრებით დიდი მუშაობა შეასრულეს კავკასიელმა ბოლშევიკებმა ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

1905 წლის აპრილს ლონდონში მოწვეულ იქნა რსდმპ III ყრილობა. ეს იყო პირველი მარტოოდენ ბოლშევიკური ყრილობა. მენშევიკებმა უარი განაცხადეს მოსულიყვნენ III ყრილობაზე. იმ დროს, როცა ლონდონში ყრილობა მიმდინარეობდა, მათ ჟენევაში თავიანთი მენშევიკური კონფერენცია მოაწყეს.

„ორი ყრილობა — ორი პარტია", — ასე განსაზღვრა მდგომარეობა ლენინმა.

III ყრილობა შეიკრიბა რევოლუციის ვითარებაში. მთელს რუსეთში მიმდინარეობდა გაფიცვები, აჯანყება. ყრილობაზე საჭირო იყო ძირითადი საკითხის გადაჭრა: როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის ხაზი რევოლუციაში, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი მუშების გამარჯვება რევოლუციაში. ხოლო ამისათვის საჭირო იყო რევოლუციის ხასიათისა და რევოლუციაში სხვადასხვა კლასის როლის სწორად განსაზღვრა.

მალე III ყრილობის შემდეგ, 1905 წლის ივლისში, ლენინმა დასწერა წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში", სადაც გააკრიტიკა მენშევიკების ტაქტიკა და გენიალურად დაასაბუთა ბოლშევიკური ტაქტიკა.

ბოლშევიკების ძირითადი ტაქტიკური დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი და ხელმძღვანელი შეიძლება და კიდევაც უნდა იყოს პროლეტარიატი. პროლეტარიატი რევოლუციის ბელადი იქნება, თუ მიიმხრობს თავის მოკავშირეს — გლეხობას.

ეს იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ტაქტიკის, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის თანაფარდობის საკითხებში მარქსისტული პარტიის ახალი მიზანდასახულობა. ეს იყო ლენინის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ.

9 იანვრის შემდეგ მთელს რუსეთში ფართოდ გაჩაღდა მუშათა მოძრაობა. მუშათა გაფიცვებმა მთელი რუსეთი შეარყია. ქალაქის შემდეგ სოფელიც ამოძრავდა. გამათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა აგრეთვე ჩაგრულ ეროვნებათა შორის — პოლონელებს, უკრაინელებს, ქართველებს, თათრებს, ებრაელებსა და სხვა ეროვნებათა შორის.

1905 წლის ივნისს აჯანყებამ იფეთქა ჯავშნოსან „პოტიომკინზე". მეფის ფლოტის მეზღვაურთა ამ აჯანყებაში ლენინი ხედავდა „ახალ და დიდ ნაბიჯს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში".*) ლენინი სულ უფროდაუფრო დაჟინებით აყენებს შეიარაღებული აჯანყების მომზადების, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის საკითხს.

1905 წლის შემოდგომაზე რევოლუციური მოძრაობა მთელს რუსეთს მოედო. იგი უდიდესი ძალით იზრდებოდა.

1905 წლის 30 (17) ოქტომბერს გამოქვეყნდა მეფის მანიფესტი, სადაც რევოლუციური მოძრაობის ზრდით დაშინებული მეფე სიტყვით დაპირებას იძლეოდა, რომ ხალხს სამოქალაქო თავისუფლების „ურყევ" საფუძვლებს მისცემდა, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევას ჰპირდებოდა.

ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში, ბრძოლის ცეცხლში მუშათა მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ შექმნა ახალი მძლავრი იარაღი—საბჭოები. საბჭოებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ, განსაკუთრებით პეტერბურგსა და მოსკოვში.

ნოემბრის დამდეგს ლენინი ჟენევიდან გამგზავრა შვეციაში, სტოკჰოლმში, ხოლო იქიდან ფინეთში, ჰელსინგფორსში, საზღვრის მახლობლად დასახლდა და ხშირად ფარულად ჩამოდიოდა პეტერბურგში. ნოემბრის დამლევიდან ლენინი ენერგიულ და უშუალო მონაწილეობას იღებს ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტისა და სხვა კომიტეტების მუშაობაში. იგი გამოდის კრებებზე; მასთან გამუდმებით ჩამოდიან სხვა ქალაქებიდან ამხანაგები, რათა მიიღონ რჩევა, თუ როგორ აწარმოონ ბრძოლა.

ბოლშევიკებმა ისარგებლეს იმით, რომ ოქტომბრის გაფიცვისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, უწინდელთან შედარებით, უფრო თავისუფალი წესები დამყარდა და იწყეს პეტერბურგში ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის" გამოცემა. ლენინმა დასწერა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც მიუთითებდნენ, თუ როგორ უნდა მომზადებულიყვნენ ხალხის მასები ცარიზმის შეიარაღებული დამხობისათვის. 1905 წლის დეკემბერში ლენინი და ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კრუპსკაია უკვე თვით პეტერბურგში დასახლდნენ. მაგრამ ეს ძალიან საშიშარი იყო, და ამხანაგებმა ლენინი დაითანხმეს ფინეთში გადასვლაზე.

1905 წლის დეკემბერს ფინეთში, ტამერფორსში, შეიკრიბა ბოლშევიკების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირადად ლენინი და სტალინი.

მანამდე მათ ერთმანეთთან კავშირი დამყარებული ჰქონდათ წერილებით.

იგონებდა რა უფრო გვიან ტამერფორსის კონფერენციაზე ლენინთან თავის პირველ შეხვედრას, ამხანაგი სტალინი სწერდა:

„შესანიშნავი იყო ამ კონფერენციაზე ლენინის მიერ წარმოთქმული ორი სიტყვა: მიმდინარე მომენტზე და აგრარულ საკითხზე. სამწუხაროდ, ისინი არ შენახულან. ეს იყო აღგზნებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს აღტაცებაში მოიყვანა.

დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის უბრალოება და გარკვეულობა, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომლების მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყოველივე ეს ხელსაყრელად ასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი საპარლამენტო ორატორების სიტყვებისაგან.

მაგრამ მაშინ მე მომხიბლა ლენინის სიტყვების არა ამ მხარემ. მე მომხიბლა ლენინის სიტყვებში ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც ცოტა მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აღაგზნებს მას და შემდეგ ტყვედ მიჰყავს ყველა, როგორც იტყვიან, მთლიანად".

მოსკოვში უკვე შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. ლენინის რჩევით კონფერენციამ დაჩქარებით დაამთავრა თავისი მუშაობა და დელეგატების უმრავლესობა ადგილებზე წავიდ-წამოვიდა, რათა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო.

ვ. ი. ლენინი გალიციაში

აჯანყება მაშინ არამარტო მოსკოვში იყო, არამედ იგი მოედო სხვა ქალაქებს, ბალტიისპირა მხარეს, პოლონეთს, საქართველოს, ციმბირს. მეფის მთავრობამ დამსჯელი ექსპედიციები გაჰგზავნა აჯანყებულ რაიონებში და ცეცხლითა და სისხლით აქრობდა აჯანყებას.

შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა უცბად არ ჩამქრალა. რევოლუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მასებს უკან დახევა არა სურდათ, მასები ბრძოლისაკენ მიიწევდნენ. ლენინი და სტალინი მოუწოდებდნენ მათ, ძალები მოეკრიფათ ახალი რევოლუციისათვის.

უფრო წარმატებით რომ ებრძოლნათ, მუშები მოითხოვდნენ პროლეტარიატის პარტიის ერთიანობას, გაერთიანებას. ბოლშევიკები მუშების ამ მოთხოვნას მხარს უჭერდნენ და მენშევიკებს შესთავაზეს გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა. მუშათა მასების ზეგავლენით მენშევიკები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ. მოწვეულ იქნა პარტიის გაერთიანებული ყრილობები: 1906 წელს—სტოკჰოლმის IV და 1907 წელს — ლონდონის V ყრილობა.

მენშევიკებთან გაერთიანება ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ბოლშევიკურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ლენინის მებრძოლ ხელმძღვანელობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის შენარჩუნებისათვის რევოლუციის დამარცხების შემდეგ უაღრესად მძიმე წლებში.

პარტიამ გარდაჰქმნა თავისი ტაქტიკა, მუშაობის ახალ პირობებში მოქმედების თავისი ხაზი, რათა რევოლუციის ახალ აღმავლობას დალოდებოდა და გაემარჯვა. ბოლშევიკები დაუღალავად იკრეფდნენ ძალას რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

მენშევიკები ამ დროს მზად იყვნენ დაეთმოთ ბურჟუაზიისათვის და შეგუებოდნენ მეფის რეჟიმს, მათ იმის ქადაგებაც კი იწყეს, რომ საჭიროა ჩვენი პარტიის ფარული (არალეგალური) ორგანიზაციის მოსპობა, ლიკვიდირება. ამისათვის მათ უწოდეს ლიკვიდატორები, „სტოლიპინის მუშური პარტია".

ტროცკი, ისე როგორც ყველა ლიკვიდატორი, წინააღმდეგი იყო არალეგალური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ლოზუნგებისა.

იგი ცდილობდა დაეფარა ლიკვიდატორობა ფრაზებით ბოლშევიკებისა და მენშევიკების „შერიგებისა" და „გაერთიანების" შესახებ. ლენინმა ტროცკის უწოდა „იუდუშკა", იგი ამბობდა, ტროცკიზმი ლიკვიდატორობის უცუდესი სახეაო. ტროცკიზმს ასეთსავე მკაცრ შეფასებას აძლევდა ამხანაგი სტალინი სოლვიჩეგოდსკში გადასახლების დროს ლენინისათვის გაგზავნილ თავის წერილში.

ლენინმა გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ჩვენი მებრძოლი პარტიის შენარჩუნებისათვის. საჭირო ხდებოდა მუშაობა ჩვენი პარტიის უსასტიკესი პოლიციური დევნის ვითარებაში. ბევრნი, მათ შორის ლენინიც, იძულებული გახდნენ კვლავ საზღვარგარეთ წასულიყვნენ.

ლონდონის ყრილობის შემდეგ ლენინი ერთხელ კიდევ დაბრუნდა ფინეთში. ამ დროს ბოლშევიკების ნაწილმა ვერ გაიგო ქვეყნის შეცვლილი ვითარების პირობებში ცარიზმთან ბრძოლის ახალ გზებზე შემობრუნების საჭიროება. ისინი განაგრძობდნენ ლაპარაკს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაზე, მოითხოვდნენ, რათა ბოლშევიკებს სახელმწიფო სათათბიროსათვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ხოლო როცა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები არჩეულ იქნენ, ბოიკოტის მომხრეთა ნაწილი მოითხოვდა სათათბიროდან ამ დეპუტატების უკან გაწვევას. ამისათვის მათ „ოტზოვისტები" უწოდეს, ისინი მოითხოვდნენ ჩვენი ამხანაგების გამოწვევას პროფესიული კავშირებიდან და სხვა აშკარად მოქმედი ორგანიზაციებიდანაც კი. ლენინმა მათ „პირშებრუნებული ლიკვიდატორები" უწოდა.

რეაქციის მძიმე წლებში, რევოლუციის დამარცხების ოპოზიციურ მიმდინარეობათა დაშლისა და პარტიას ჩამოშორებულ ინტელიგენტების რევიზიონისტულ გამოლაშქრებათა გაძლიერების ვითარებაში, ბოლშევიკებს არ დაუხრიათ პარტიული დროშა, მათ შეინარჩუნეს ერთგულება პარტიის მარქსისტული პროგრამისადმი და მოიგერიეს მარქსისტული თეორიის „კრიტიკოსთა" იერიშები. ლენინმა დაიცვა პარტია და მისი რევოლუციური პრინციპები მარქსიზმის მტრების თავდასხმებისაგან.

ლენინის შესანიშნავი წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელიც 1909 წელს გამოვიდა, აჯამებდა ყოველივე მნიშვნელოვანსა და არსებითს, რაც მეცნიერებამ მოიპოვა მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ. ეს წიგნი წარმოადგენდა აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საფუძვლების დაცვას.

1909 წლის ზაფხულში ლენინის დაჟინებითი მოთხოვნით ბოლშევიკების რიგებიდან გაძევებულ იქნენ „პირშებრუნებული ლიკვიდატორები" — „ოტზოვისტები", „ღვთის მშენებლები" და ყველა სხვა იდეალისტები— მარქსიზმის მტრები. ლენინი აგრეთვე ულმობელად ამხილებდა შემარიგებლებს—ტროცკის აგენტებს: ზინოვიევს, კამენევს, რიკოვსა და სხვებს, რომლებსაც უნდოდათ ბოლშევიკები ლიკვიდატორებში აერიათ.

ლენინი იძულებული იყო 1907 წლის დამლევს კვლავ წასულიყო საზღვარგარეთ (ჯერ სტოკჰოლმს — შვეციაში, შემდეგ ბერლინს—გერმანიაში, მერე ჟენევას—შვეიცარიაში). გაზეთ „პროლეტარში", რომელიც მაშინ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო იყო, იგი დღითი-დღე აწარმოებდა ბრძოლას მუშათა მოძრაობის ამ მტრებთან და ამ მძიმე დროს ეხმარებოდა მუშათა კლასს გამოენახა ბრძოლის სწორი ხაზი. ლენინმა პარიზის მიდამოებში (დაბა ლონჟიუმოში) მოაწყო (1911 წელს) პარტიული სკოლა, სადაც ჩადიოდნენ ჩვენი ამხანაგები რუსეთიდან, მოწინავე მუშები, რომლებიც ფარულად გადადიოდნენ საზღვარს, რათა ლენინის ხელმძღვანელობით რევოლუციური მუშაობისათვის მომზადებულიყვნენ.

ამ უძნელეს პერიოდში ლენინი პარტიის ძალთა შემკრები იყო. მან შეჰკრა ბლოკი პლეხანოვთან, რომელიც იმ პერიოდში მხარს უჭერდა არალეგალური პარტიული ორგანიზაციის შენარჩუნებას და ებრძოდა ლიკვიდატორებს.

1912 წლის იანვარში საზღვარგარეთ, პრაღაში, მოწვეულ იქნა სრულიადრუსეთის პარტიული კონფერენცია. საჭირო იყო პარტიის ბოლომდე გაწმენდა ლიკვიდატორებისაგან. საჭირო იყო მენშევიკებთან და „შემარცხენე" ლიკვიდატორებთან კავშირის ფაქტიურად გაწყვეტა ბოლომდე მიგვეყვანა და ჩამოვყალიბებულიყავით ცალკე პარტიად—ახალი ტიპის პარტიად, რომელიც განსხვავდებოდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან, თავისუფალი იქნებოდა ოპორტუნისტებისაგან და რომელსაც ექნებოდა უნარი გასძღოლოდა პროლეტარიატს ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. ეს ამოცანა შეასრულა პრაღის კონფერენციამ. პრაღის კონფერენციაზე 1912 წლის იანვარში არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ამხანაგები ლენინი, სტალინი, სვერდლოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, სპანდარიანი და სხვა ბოლშევიკები.

ამ დროს რუსეთში ნათლად დაისახა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა, რევოლუციური ტალღის ახალი აზვირთება.

ბოლშევიკებმა შესძლეს დაეწყოთ თავისი მუშური გაზეთის—ჯერ „ზვეზდის", ხოლო შემდეგ „პრავდის" აშკარად გამოცემა პეტერბურგში.

„პრავდაში" ბევრსა სწერდა ამხანაგი სტალინი, რომელიც მისი ერთ-ერთი რედაქტორი და ორგანიზატორი იყო. „პრავდის" რედაქციის მდივნად იყო ამხანაგი მოლოტოვი.

ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა, როგორც პარტიის ბელადი, ჩვენს გაზეთებს, აძლევდა მათ მიმართულებას, ხდიდა მათ მსოფლიოში ყველაზე უფრო მებრძოლი პროლეტარიატის პარტიის საბრძოლო იარაღად.

ლენინი აგრეთვე ხელმძღვანელობდა მუშათა დეპუტატების გამოსვლებს სახელმწიფო სათათბიროში. იგი, ისე როგორც სტალინი, მუდამ სწერდა მათთვის წერილებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რა საკითხები აღეძრათ სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად.

იმ დროს, როდესაც ლენინი და ბოლშევიკთა მთელი პარტია აგროვებდნენ, რაზმავდნენ პროლეტარიატის მთელ მებრძოლ ძალებს, ტროცკიმ 1912 წელს მოაწყო იგრეთწოდებული „აგვისტოს ბლოკი" ბოლშევიკებთან საბრძოლველად. ამ კავშირში შევიდნენ ბოლშევიზმისადმი მტრულად განწყობილი ყველა სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობანი და ჯგუფები. ტროცკი ეხმარებოდა მენშევიკებს მათ ბრძოლაში პროლეტარული პარტიის წინააღმდეგ, ეწეოდა წვრილმან ინტრიგებს, კინკლაობას, ცილსა სწამებდა ბოლშევიკებს. ლენინს უხდებოდა გააფთრებული ბრძოლა ტროცკისთან, რომელსაც იგი „იუდუშკას", „ბალალაიკინს" უწოდებდა მისი ორგულობისათვის, მისი უშინაარსო ლაქლაქისათვის. ტროცკის ყოველგვარი ცდა შეეკოწიწებინა ანტიპარტიულ ელემენტთა ბლოკი მაშინაც სრული მარცხით დამთავრდა. ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს და თან გაიყოლიეს მუშათა კლასი.

1912 წლის 17 (4) აპრილს ციმბირის შორეულ ტაიგაში, ლენის ოქროს საბადოებში, გაფიცვის დროს მეფის ჟანდარმთა ოფიცრის ბრძანებით მოკლულ და დაჭრილ იქნა 500-ზე მეტი მუშა. ლენის ამბები გადაიქცა მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართო მასობრივი რევოლუციური მოძრაობის დასაწყისად.

სახელმწიფო სათათბიროში ბოლშევიკმა დეპუტატებმა გაბედულად დააყენეს ლენის საბადოებში ცარიზმის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების საკითხი.

ამ დროს (1912 წლის ზაფხულში) ლენინი იმისათვის, რომ რუსეთის საზღვართან ახლოს ყოფილიყო და საშუალება ჰქონოდა უფრო ხშირად გაება კავშირი რუსეთში მომუშავე ამხანაგებთან, კრაკოვში დასახლდა. აქ მან თითქმის მთელი წელიწადი იცხოვრა.

ახლა ლენინს საშუალება მიეცა თითქმის ყოველდღე გამოსულიყო სტატიებით „პრავდაში" და ჟურნალ „პროსვეშჩენიეში". უბრალო, გასაგები ენით, უბრალო, გულწრფელი სიტყვებით ლენინი განმარტავდა რევოლუციური ამბების აზრს და გვიჩვენებდა ბრძოლის ნამდვილ გზას.

ლენინი და სტალინი ითვალისწინებდნენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ნაციონალურ საკითხს ექნებოდა პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, ამუშავებდნენ ამ საკითხს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საერთო საკითხის ნაწილს. ლენინმა დასწერა ორი დიდი ნაშრომი: „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ" და „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე". ამავე დროს (1913 წელს) ამხანაგმა სტალინმა დასწერა და ბოლშევიკურ ჟურნალ „პროსვეშჩენიეში" გამოაქვეყნა დიდი ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელსაც ლენინი ძალიან დიდად აფასებდა.

მასობრივი გაფიცვები, რაც 1912 წელს ლენის მუშათა დახვრეტის შემდეგ დაიწყო და რაც თითქმის მთელ რუსეთს მოედო, არ სწყდებოდა თვით 1914 წლის იმპერიალისტური ომის გამოცხადებამდე.

მუშათა კლასი შეტევაზე გადავიდა.

ამ ძნელი მდგომარეობიდან ცარიზმმა დროებითი გამოსავალი ჰპოვა იმპერიალისტურ ომში, რაც 1914 წლის აგვისტოში დაიწყო.

ამ დროს ლენინი ცხოვრობდა სოფელ პორონინოში, ავსტრია-უნგრეთში. ვლადიმერ ილიას-ძე დააპატიმრეს და სატუსაღოში ჩასვეს. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულ კრუპსკაიას და ზოგიერთი სოციალისტის მეცადინეობის შემდეგ ლენინი გაათავისუფლეს და იგი შვეიცარიაში გადავიდა, რათა განეგრძო თავისი რევოლუციური მუშაობა ომის წინააღმდეგ.

ერთადერთი პარტია, რომელმაც მთელი დაუნდობლობით გამოამჟღავნა დაწყებული ომის იმპერიალისტური ხასიათი, აღმოჩნდა ლენინის მიერ გამობრძმედილი ბოლშევიკური პარტია. დაიწყო თუ არა ომი, ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მიმართვა ყველა მუშისადმი, გლეხისადმი, ყველა მშრომელისადმი, სადაც აღნიშნავდა: რუსეთის მშრომელთა მასებისათვის „ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა, ყველაზე რეაქციული და ბარბაროსული მთავრობისა, რომელიც სჩაგრავს ევროპისა და აზიის მეტწილ ერებსა და მეტწილ მასებს მოსახლეობისას". ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით იცოდნენ, რომ ეს დამარცხება რევოლუციას გამოიწვევდა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რუსეთში გამოვიდა მოწოდებით: „ძირს ომი!", „ომი ომს!", „გაუმარჯოს რევოლუციას!".

შვეიცარიიდან ლენინი რუსეთში ჰგზავნის თავის თეზისებს ომის შესახებ. ამასთანავე იგი იწყებს ბრძოლას ობორონცებთან, რომლებიც იმის მომხრენი იყვნენ, რომ თვითეულ ცალკე ქვეყანაში თავიანთ ბურჟუაზიას დახმარებოდნენ ომის წარმოებაში. ასეთი ობორონცები აღმოჩნდნენ მენშევიკები პლეხანოვის მეთაურობით.

ლენინი ხედავდა, რომ II ინტერნაციონალი როგორც რევოლუციური ორგანიზაცია მუშათა კლასისა მოკვდა და ამიტომ 1914 წლის ნოემბერშივე ლენინმა ძირითად ამოცანად დააყენა —ახალი, III ინტერნაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. იმპერიალისტური ომის დროს ლენინმა შესძლო შეეკრიბა ყველა ქვეყანაში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნარი ჰქონდათ აეშენებინათ მუშათა კლასის ახალი რევოლუციური ორგანიზაცია. 1915 წლის სექტემბერში შვეიცარიის პატარა სოფელ ციმერვალდში შეიკრიბა იმ სოციალისტთა პირველი თათბირი, რომლებიც ომის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ; ამ თათბირში ლენინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. 1916 წლის აგვისტოში ლენინმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტების თათბირში, რომელიც მოწვეული იყო კინტალში (შვეიცარია). ომის დროს ლენინმა დასწერა ერთ-ერთი თავისი შესანიშნავი წიგნი—„იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". ამ წიგნში ლენინმა, მოგვცა რა ბრწყინვალე ანალიზი იმპერიალიზმისა, როგორც კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი სტადიისა, დაგვანახვა, რომ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების შედეგად ხდება იმპერიალისტური ომები, რომლებიც ასუსტებენ კაპიტალიზმს და შესაძლებელს ჰხდიან გაწყვეტილ იქნას იმპერიალიზმის ჯაჭვი ერთ რგოლში, სადაც იგი ყველაზე სუსტი აღმოჩნდება. ამხანაგმა ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წელს დაწერილ ნაშრომებში დაამტკიცა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ცალკეულ ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი დამთავრებული თეორია.

1917 წლის 16 აპრილს—რუსეთის თებერვლის რევოლუციიდან ორ თვეზე ნაკლები ხნის გასვლის შემდეგ— ლენინი ემიგრაციიდან დაბრუნდა. პეტერბურგში, ფინეთის ვაგზალზე ბოლშევიკური პარტიის ბელადის შესახვედრად შეიკრიბნენ მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსების დიდძალი მასები. ვაგზალზე ჯავშნოსანიდან ლენინმა წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი სიტყვა და გამოვიდა საბრძოლო მოწოდებით: „გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!"

პეტროგრადს ჩამოსვლის მეორე დღესვე, 17 (4) აპრილს, ლენინი გამოვიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის კონფერენციის წევრების, ბოლშევიკთა თათბირზე, მერმე კი განიმეორა მოხსენების თეზისები კრებაზე, სადაც, ბოლშევიკების გარდა, მენშევიკებიც ესწრებოდნენ. ეს იყო ლენინის შესანიშნავი აპრილის თეზისები. ლენინის აპრილის თეზისები სახავდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლისათვის პარტიის ბრძოლის გენიალურ გეგმას. ლენინის თეზისების წინააღმდეგ გამოდიოდნენ გამცემლები კამენევი, რიკოვი და სხვები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებდნენ ბურჟუაზიას, მხარს უჭერდნენ კაპიტალიზმის შენარჩუნებას. ბოლშევიკები დაირაზმნენ ლენინის გარშემო, მიიღეს მისი თეზისები, როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა. მილიონობით მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა იწყეს ბოლშევიკების მხარეზე გადასვლა.

პეტროგრადში ასიათასობით მუშათა და ჯარისკაცთა ივნის-ივლისის გამოსვლებმა (1917 წელს) ცხადჰყვეს, რომ ლენინის ლოზუნგები, ჩვენი პარტიის ლოზუნგები გამოეხმაურნენ უფართოესი მასები. „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!", „ძირს კაპიტალისტი მინისტრები!", ეს ლოზუნგები იყო წარწერილი ყველა დროშაზე.

დროებითმა მთავრობამ მენშევიკებისა და ესერების მხარდაჭერით გაბედა გადაედგა უაღრესად საზიზღარი ნაბიჯი: დაეპატიმრებინა ლენინი და ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები. ბევრი ამხანაგი დააპატიმრეს, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამხანაგ სტალინის წინადადება იმის შესახებ, რომ ლენინი არ გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სამსჯავროში. ლენინი დამალეს რაზლივის სადგურის ახლოს, პეტროგრადის მახლობლად.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

---

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტის" 21 აპრილის №-ში.

*) ლენინი, თხზ. ტ. VII, გვ. 379. რუს. გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

(დასასრული)

იმალება რა კარავში, ლენინი სწერს ბროშურას „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?", რომელშიც დაწვრილებით სახავს ჩვენი პარტიის ძირითად ამოცანებს აჯანყების ხელმძღვანელობის საქმეში და პროლეტარული სახელმწიფოს პირველ ნაბიჯებს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ.

დროებითი მთავრობის მაძებრების მიერ დევნილ ვლადიმერ ილიას-ძეს არ შეეძლო დასწრებოდა პარტიის VI ყრილობას, რომელიც 1917 წლის ივლისის დამლევს—აგვისტოს დამდეგს შესდგა, მაგრამ იგი არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ხელმძღვანელობდა მას თავისი თანამებრძოლების—სტალინის, სვერდლოვის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის მეშვეობით.

ყრილობაზე ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ რევოლუცია თავისი ხასიათის მიხედვით ხდება სოციალისტური, რომ აღარ არსებობს რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, ხელისუფლება უნდა ავიღოთ ძალით, დავამხოთ დროებითი მთავრობა. პარტიის მეექვსე ყრილობამ წარმართა პარტია შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ყრილობამ ერთსულოვნად უარჰყო პრეობრაჟენსკისა და ბუხარინის ტროცკისტული მტკიცება რუსეთში პროლეტარული რევოლუციის შეუძლებლობის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა თავის გამოსვლაში სთქვა:

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე". (რსდმპ (ბ) VI ყრილობის ოქმები, გვ. 233-234).

კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობა და თეთრგვარდიელები გაძლიერებით დაეძებენ ლენინს. ლენინი რომ გამხეცებული თეთრგვარდიელებისაგან გადაერჩინათ, გადაწყდა გადაეყვანათ იგი ფინეთში. ვლადიმერ ილიას-ძე ჰელსინგფორსში დაბინავდა. აქ იგი ამთავრებს თავის დიდ ნაშრომს „სახელმწიფო და რევოლუცია". რევოლუციური ამბები ელვისებური სისწრაფით ვითარდება. ლენინი ჰელსინგფორსიდან გადადის ვიბორგში, რათა უფრო ახლოს იყოს პეტროგრადთან.

16-20 ოქტომბერს ლენინმა ცენტრალურ კომიტეტს, მოსკოვისა და პეტროგრადის კომიტეტებს და პიტერისა და მოსკოვის საბჭოების წევრ ბოლშევიკებს დაუგზავნა წერილი, რომლითაც მოუწოდებდა დაუყოვნებლივ აეღოთ ხელისუფლება.

20(7) ოქტომბერს ლენინი გადმოდის პეტროგრადში და 23 (10) ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტი ლენინის წინადადებით იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული აჯანყების შესახებ. გამცემელი ზინოვიევი და კამენევი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდიან. ისინი მოღალატურად უმხელენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო დადგენილებას შეიარაღებული აჯანყების შესახებ, უმხელენ მტერს აჯანყების გეგმასა და ვადებს. ლენინმა ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილი სპეციალური წერილით პირდაპირ მოითხოვა კონტრრევოლუციის ამ საზიზღარი თანამონაწილეების გარიცხვა პარტიიდან. ლენინი და სტალინი გადაჭრით გამოდიან ტროცკის გამცემლობის წინააღმდეგ, ტროცკისა, რომელიც უარჰყოფდა აჯანყების სამხედრო-ტექნიკურ მომზადებას და რომელმაც ბურჟუაზიას წამოუყრანტალა შეიარაღებული აჯანყების თარიღი.

6 ნოემბერს ლენინი კვლავ სწერს წერილს ცენტრალური კომიტეტის წევრებს და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეიარაღებულ გამოსვლას.

6 ნოემბერს ღამით ლენინი ისე ჩაცმული, რომ იგი ვერავის ეცნო, მოვიდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შტაბში სმოლნში, და იქ ამხანაგ სტალინთან ერთად მაშინვე შეუდგა დაწყებული აჯანყების უშუალო საბრძოლო ხელმძღვანელობას. ბოლშევიკებმა 6 ნოემბერს ღამით (25 ოქტომბერს) სწრაფად დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი პეტროგრადში: ტელეგრაფი, ტელეფონი, პეტრე-პავლეს ციხე, ზამთრის სასახლე, სადაც დააპატიმრეს დროებითი მთავრობა და გაანადგურეს იუნკრები. ამხანაგები ლენინი და სტალინი სმოლნიდან ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

7 ნოემბერს გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა რუსეთის ყველა მოქალაქისადმი, რომლითაც პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იუწყებოდა, რომ „დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ძალა-უფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს—სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს". (ლენინი, ტომი XXII გვ. I).

8 ნოემბერს საბჭოების II ყრილობამ ლენინის წინადადებით მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ და დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც დაუყოვნებლივ გაუქმებულია მემამულური მიწის საკუთრება ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე.

ღამით მიღებულ იქნა დადგენილება მუშურ-გლეხური მთავრობის—სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ. სახკომსაბჭოს სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინი. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად არჩეულ იქნა ი. ბ. სტალინი.

ამ მომენტიდან დაიწყო რუსეთის ახალი ისტორია, პროლეტარული მოძრაობის ახალი ისტორია, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ისტორია.

ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრდა მთელი ძველი მსოფლიო.

ამიტომ ბოლშევიკებს, რომელნიც ძალა-უფლებას სათავეში ჩაუდგნენ, პირველი მომენტიდანვე როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო ხასიათის დიდი სიძნელეები გადაეღობა წინ. ვეებერთელა ქვეყნის მმართვა-გამგებლობისათვის თავის გართმევა ძნელი იყო აგრეთვე იმიტომ, რომ საჭირო იყო მთელი ძველი სახელმწიფო აპარატის, მთელი ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა. საბჭოთა ხელისუფლება თანდათანობით ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელთა საშუალებით მეურნეობის გამგებლობა მუშათა კლასის ხელში გადადიოდა.

ამავე დროს საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაც. პროლეტარული დიქტატურის აპარატის, სახელმწიფოს მმართვა-გამგებლობის ახალი აპარატის, ახალი სახელმწიფო მანქანის შექმნას, სოციალისტური მეურნეობის მოწყობას და წითელი არმიის შექმნას ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინი ხელმძღვანელობდა ჩვენს სახელოვან მებრძოლ პარტიას; ეყრდნობოდა რა რევოლუციისადმი ერთგული მუშებისა და გლეხების დახმარებას, მან მოაწყო მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფო.

ჩვენი ქვეყანა შეუდგა სოციალისტური მეურნეობის შენებას და წარმატებით იცავდა თავს მრავალრიცხოვანი, ტექნიკურად გაცილებით უფრო ძლიერი მტრისაგან. მტრები ყველგან წამოჰყოფდნენ ხოლმე თავს. ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ლენინის აზრით საჭირო იყო ზავის დადება, თუნდაც მძიმე ზავისა, ოღონდ კი ხელფეხი გახსნილი გვქონოდა, ოღონდ კი თავიდან მოგვეშორებინა ომი და შესვენება მიგვეღო.

ყველა კონტრრევოლუციონერნი, დაწყებული მენშევიკებით და ესერებით და გათავებული ყველაზე აშკარა თეთრგვარდიელებით, გააფთრებულ აგიტაციას ეწეოდნენ ზავის ხელმოწერის წინააღმდეგ. მათი ხაზი აშკარა იყო: მათ ჰსურდათ ჩაეშალნათ საზავო მოლაპარაკება, პროვოკაციულად გამოეწვიათ გერმანელების შემოტევა, რათა გერმანელი იმპერიალისტების შემწეობით მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება.

ამ შავბნელ საქმეში მათი მოკავშირეები აღმოჩნდნენ მოღალატე ტროცკი და მისი დამქაში ბუხარინი, რომელიც რადეკთან და პიატაკოვთან ერთად სათავეში უდგა პარტიისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფს, რომელიც თავის თავს შენიღბვის მიზნით „მემარცხენე კომუნისტთა" ჯგუფს უწოდებდა.

1918 წლის 10 თებერვალს საზავო მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკში შესწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინი და სტალინი დაჟინებით მოითხოვდნენ ზავზე ხელის მოწერას, ტროცკიმ, რომელიც საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე იყო, გამცემლურად დაარღვია ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი დირექტივები.

„23 თებერვალს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გერმანელთა სარდლობის პირობების მიღება და საზავო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა. ტროცკისა და ბუხარინის გამცემლობა საბჭოთა რესპუბლიკას ძვირად დაუჯდა". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი გვ. 264).

1918 წლის 6 მარტს მოწვეულ იქნა პარტიის VII ყრილობა. ყრილობამ მიიღო ლენინის რეზოლუცია ზავის დაუყოვნებლივ დადების შესახებ.

ლენინისა და მთელი ჩვენი პარტიის რკინისებური ნებისყოფით შექმნილ იქნა გმირული წითელი არმია. მისი ორგანიზატორები იყვნენ ლენინი, სტალინი, ვოროშილოვი, ფრუნზე. წითელმა არმიამ გაანადგურა მტრები. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ უცხოეთის არმიებში ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილი მუშები და გლეხები ჩვენ გვემხრობოდნენ.

მაგრამ ეს გამარჯვება ერთბაშად როდი მოვიპოვეთ. მხოლოდ 1919 წელს საბჭოთა ჯარმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული გეგმით, გაანადგურა ურალზე კოლჩაკი და განდევნა იგი აღმოსავლეთისაკენ, ირკუტსკამდე, სადაც კოლჩაკი ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტეს. გაცილებით უფრო გვიან ბოლშევიკებმა აღმოსავლეთიდან გარეკეს იაპონიის ჯარი; გაანადგურეს დუტოვიც, კრასნოვიც, პეტლიურაც, კულაკი ბანდიტი მახნოც. წითელმა არმიამ, რომელიც სტალინის გეგმით ხელმძღვანელობდა, ამხანაგ სტალინის უშუალო წინამძღოლობით გაანადგურა დენიკინი და იუდენიჩი. განდევნეთ იმპერიალისტები ჩრდილოეთიდანაც, სამხრეთიდანაც, აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც — ყოველი მხრიდან. ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა იყო პოლონეთის ფრონტზე და ბარონ ვრანგელის წინააღმდეგ ყირიმში. წითელმა არმიამ ბარონ ვრანგელიც გაანადგურა. ასე იქნა განადგურებული ანტანტის იმპერიალისტთა სამი ლაშქრობა.

საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრები — მემამულეები, კაპიტალისტები და კულაკები, ესერებისა და მენშევიკების წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც კაპიტალისტებს, მემამულეებსა და კულაკებს ეხმარებოდნენ, აწყობდნენ გეგმებს, თუ როგორ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორ მოესპოთ ლენინი. და აი ესერებმა გადასწყვიტეს — მოჰკლან ლენინი.

როგორც ეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის" პროცესის მასალებიდან სჩანს, ამ საშინელი, ვერაგული აქტის ჩადენას ესერები აპირებდნენ ბუხარინთან და ტროცკისთან შეთანხმებით.

1918 წლის 30 აგვისტოს ლენინი გამოდიოდა მიტინგზე ზამოსკვორეჩიეს რაიონში ყოფ. მიხელსონის ქარხანაში (ამჟამად ილიჩის სახელობის ქარხანა). მქუხარე ტაშის გრიალში ჩამოვიდა ლენინი ტრიბუნიდან. როდესაც ლენინი მუშებს გამოემშვიდობა და ავტომობილში ჩაჯდომას აპირებდა, ესერმა ქალმა კაპლანმა მას ოთხი ტყვია ესროლა.

ლენინი მძიმედ დაიჭრა. მთელი ქვეყანა დაძაბულად ადევნებდა თვალს ლენინის ავადმყოფობის მიმდინარეობას. ლენინს რკინისებური ჯანმრთელობა რომ არ ჰქონოდა, იგი ვერ გადაიტანდა მძიმე ჭრილობას.

რა სასიხარულო იყო მთელი ჩვენი ქვეყნისათვის პირველი ცნობა ლენინის გამოჯანმრთელების შესახებ. ლენინი კვლავ ჩვენთან არის, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ლენინის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს მის მიერ III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნაში ლენინს ეხმარებოდნენ თავისი ამხანაგები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, მას ამ საქმეში ეხმარებოდნენ პროლეტარიატის ერთგული რევოლუციონერები სხვადასხვა ქვეყნებში, მას ეხმარებოდა მთელი ჩვენი პარტია.

ლენინი საფუძველს უყრიდა III ინტერნაციონალს სოციალ-შოვინისტებთან და ცენტრისტებთან გადამწყვეტ ბრძოლაში. ლენინი, აერთიანებდა რა ინტერნაციონალისტებს, აკრიტიკებდა II ინტერნაციონალის მემარცხენეთა არათანამიმდევრულობას, მათს ნახევრადმენშევიკურ შეცდომებს, უბიძგებდა მემარცხენეებს ოპორტუნისტებისაგან გათიშვისაკენ.

კომუნისტური ინტერნაციონალის I ყრილობა (კონგრესი) მოწვეული იყო მოსკოვში 1919 წლის მარტში. 6 მარტს ლენინი გამოვიდა სიტყვით კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

ლენინის მიერ დაარსებული კომუნისტური ინტერნაციონალი უდიდეს ძალად გადაიქცა ლენინის სიცოცხლეში, იგი კიდევ უფრო მრისხანე ძალად გაიზარდა ლენინის გარდაცვალების შემდეგ.

დამთავრდა სამოქალაქო ომი. საბჭოთა ქვეყანამ იწყო მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის რელსებზე გადასვლა. სიძნელეები ძალიან დიდი იყო. ოთხი წლის იმპერიალისტური ომისა და ინტერვენციასთან სამი წლის ომის შედეგად სახალხო მეურნეობა დანგრეული იყო.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გამოიბრძმედა მუშათა და გლეხთა კავშირი. სამხედრო კომუნიზმმა უზრუნველჰყო გამარჯვება სამოქალაქო ომში. მაგრამ ომი დამთავრდა და სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა აღარ შეესაბამებოდა საბჭოთა ხალხის ამოცანებს. საჭირო იყო ბრძოლის გზის შეცვლა.

სამხედრო კომუნიზმი იმის ცდა იყო, რომ იერიშით აგვეღო კაპიტალისტური ელემენტების სიმაგრე ქალაქსა და სოფელში. ლენინმა მიგვითითა, რომ „იერიშიდან" „ალყაზე" უნდა გადავიდეთ. ლენინმა წინადადება მოგვცა გაგვეუქმებინა სასურსათო გაწერა და დაგვეწესებინა სასურსათო გადასახადი, ნება დაგვერთო პურითა და სხვა პროდუქტებით თავისუფალი ვაჭრობისათვის, უკეთ მოგვეწყო ვაჭრობა, გარდაგვექმნა კოოპერაცია.

„ლენინი სთვლიდა, რომ საქონელბრუნვის ერთგვარი თავისუფლება გააძლიერებს გლეხის სამეურნეო დაინტერესებას, გაადიდებს მისი შრომის ნაყოფიერებას და გამოიწვევს სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, რომ ამ საფუძველზე აღდგენილი იქნება სახელმწიფო მრეწველობა და განიდევნება კერძო კაპიტალი, რომ მალებისა და სახსრების დაგროვებით შეიძლება მძლავრი ინდუსტრიის — სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის—შექმნა და შემდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა, რათა მოსპობილ იქნას კაპიტალიზმის ნაშთები ჩვენს ქვეყანაში". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 311).

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის ამ პასუხსაგებ მომენტში ანტიპარტიულმა ჯგუფებმა ტროცკის მეთაურობით კვლავ დაიწყეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ.

1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობამ მთლიანად მიიღო ლენინის წინადადება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. მთელმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დაუჭირეს მხარი ლენინს და იწყეს მის მიერ წამოყენებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება.

სულ რაღაც ერთმა წელმა განვლო, ხოლო ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ლენინს 1922 წელს შეეძლო განეცხადებინა, უკან დახევა დამთავრდა, ჩვენ ვიწყებთ ახალ შეტევასო. ახალი შეტევა სწარმოებდა კაპიტალიზმის მთელი ნაშთების წინააღმდეგ, კულაკობის წინააღმდეგ, მეურნეობის სრული სოციალისტური გარდაქმნისათვის. ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა არ შეიძლებოდა ძველ საფუძველზე, საჭირო იყო ახალი საძირკველი შეგვექმნა მთელი ჩვენი ეკონომიკისათვის. ეს საძირკველი იყო ახალი ტექნიკა, რომელიც უნდა აგვეშენებინა. შემუშავებულ იქნა ელექტროფიკაციის პირველი ათწლიანი გეგმა—მთელს ჩვენს ქვეყანაში მძლავრი ელექტროსადგურების აშენების გეგმა იმისათვის, რომ მიგვეცა ქვეყნისათვის ელექტრონის სინათლე, იაფი მამოძრავებელი ძალა, იაფი სითბო. ლენინის სამეურნეო გეგმის განუყრელ ნაწილს შეადგენდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, როგორც კოოპერაციის უმაღლესი ფორმა.

„კოოპერაციაში საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში განსაკუთრებით, ლენინი ხედავდა წვრილი ერთპიროვნული მეურნეობიდან მსხვილ ამხანაგურ საწარმოო გაერთიანებებზე—კოლმეურნეობებზე გადასვლის გზას, მისაწვდომსა და გასაგებს გლეხთა მილიონებისათვის. ლენინი მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში უნდა წავიდეს კოოპერაციის მეშვეობით სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა ჩაბმის გზით, სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზმის საფუძვლების თანდათანობით დანერგვის გზით, ჯერ გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დარგში. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურისა და გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის დროს, იმ დროს, როდესაც პროლეტარიატისათვის უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობა გლეხობის მიმართ, სოციალისტური მრეწველობის არსებობის დროს,—სწორად ორგანიზებული საწარმოო კოოპერაცია, რომელიც გლეხობის მილიონებს მოიცავს,—წარმოადგენს იმ საშუალებას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 317-318).

თავის მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ პარტიის VIII ყრილობაზე 1919 წლის მარტში ლენინი ამბობდა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს მივცეთ ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე მხარს ვუჭერ კომუნიას" (ე. ი. კომუნიზმსო)"*). ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ სინამდვილედ აქცია ლენინის ოცნება. არა ასი, არამედ ხუთასი ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, ორასი ათასი ავტომობილი და თითქმის ამდენივე კომბაინი და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობს ახლა სოციალისტურ მინდვრებზე. გლეხურ მეურნეობათა 90 პროცენტზე მეტი კოლექტივიზებულია. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინეს ქვეყნის უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის—კულაკობის ლიკვიდაცია. ეს იყო უდიდესი რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას უდრის.

* * *

ლენინი იყო ყველა ხალხის მეგობარი. მეფის რუსეთი ხალხთა საპატიმრო იყო, იქ არსებობდა უთანასწორობა, მრავალი ეროვნების ჩაგვრა.

ლენინი მთელს თავის სიცოცხლეში იბრძოდა იმისათვის, რომ შეეერთებინა სხვადასხვა ეროვნების, **ყველა ეროვნების** მუშათა კლასი და შრომელები ერთ საერთო კავშირად.

ლენინი ხშირად იგონებდა პროლეტარიატის უდიდესი წარმომადგენლების, ჩვენი მასწავლებლების მარქსისა და ენგელსის სიტყვებს, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს სჩაგრავსო".

საბჭოთა სახელმწიფოში ყველა ეროვნებას მიეცა შესაძლებლობა, რომ აშენოს თავისი თავისუფალი ცხოვრება. ამ მუშაობაში ლენინს დიდი დახმარება გაუწია ამხანაგმა სტალინმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იყო და ბევრი რამ გააკეთა სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის შესაქმნელად.

უდიდესი მუშაობა, რასაც ლენინი ეწეოდა, გაჭირვება, რომელიც მან არალეგალური მუშაობის დროს გადაიტანა, დაპატიმრება, გადასახლება, მძიმე ჭრილობა, რომელიც მან 1918 წლის 30 აგვისტოს მიიღო, დაძაბული მუშაობა ასუსტებდა მის ძალას.

1922 წლის მაისიდან ვ. ი. ლენინი ავად გახდა. ავადმყოფობა დროებითი შენელების შემდეგ კვლავ ვითარდებოდა. 1924 წლის 21 იანვარს 6 საათსა და 50 წუთზე ლენინი გარდაიცვალა.

1924 წლის 23 იანვარი ლენინის უკანასკნელი გზა იყო გორკიდან მოსკოვს. საბჭოების მთელი დიადი ქვეყანა, დედამიწის მთელი მშრომელი კაცობრიობა ჰგლოვობდა.

ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე სცოცხლობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონების გულში, ლენინის საქმე სცოცხლობს საბჭოთა ხალხის გამარჯვებებში, მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს უდიდეს მიღწევებში.

ლენინის სამგლოვიარო დღეებში სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი შეასრულოს ლენინის ანდერძი.

და ყველამ იცოდა: ის, რაც სტალინმა სთქვა, სთქვა მთელი ხალხის სახელით. ის, რაც სტალინმა სთქვა, შესრულებულ იქნება.

ლენინის დროშა ამხანაგ სტალინის მტკიცე ხელშია, სტალინისა, რომელიც ლენინთან ერთად მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა კომუნიზმისათვის.

ამხანაგმა სტალინმა განავითარა და შეავსო ლენინის მოძღვრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია სოციალიზმი აშენდეს ერთი ცალკე აღებული ქვეყნის პირობებში, თეორიულად და პრაქტიკულად დაამუშავა სოციალისტური საზოგადოების აშენების მთელი გეგმა.

ლენინის საქმის დიადი განმგრძობის—ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა განახორციელა ეს გეგმა—ააშენა სოციალიზმი. ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოების ქვეყანა მიდის კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისაკენ.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

მხატვ. პ. ვასილიევის ნახატი

---

*) ლენინი, ტ. XXIV, გვ. 170. რუს. გამოცემა.

ვლადიმერ ილიას-ძის ბარათები

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა ახასიათებდა. იმ ხანებშიც კი, როცა მისი ჯანმრთელობა უკვე შერყეული იყო, იგი უდიდეს, ხშირად ჯანმრთელი კაცისათვისაც კი სამძიმო მუშაობას ეწეოდა.

აი ილიჩის ერთერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე: 1921 წლის 4 თებერვალს ვლადიმერ ილიას-ძემ დილით შესწორებანი შეიტანა და ხელი მოაწერა შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმ გამწესრიგებელი სხდომის ოქმს, რომელიც ორი დღის წინათ შესდგა. შემდეგ მან განიხილა და ხელი მოაწერა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას, რომელიც შეიცავდა 12 პუნქტს, მათ შორის დადგენილებას სამხედრო მოსამსახურეთა — ავტოსპეციალისტთა რაციონალურად გამოყენების, დონბასში სასურსათო ტვირთის შეზიდვის შესახებ, სათბობით პეტროგრადის უზრუნველყოფისა და ამ სათბობის ხარჯვაზე კონტროლის დაწესების შესახებ. ნაშუადღევის 2 საათზე ვლადიმერ ილიას-ძემ მიიღო შვეციის კომპარტიის წევრები, 3 საათზე — გ. მ. კრჟიჟანოვსკი. ამის შემდეგ ლენინი გამოვიდა მოსკოველ მეღითონეთა ფართო კონფერენციაზე. საღამოს 6 საათზე დაიწყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. განხილულ იქნა 12 საკითხი, მათ შორის—არმიის დემობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ. სხდომის დროს ვლადიმერ ილიას-ძემ მიიღო ცნობა ყოფილ ნიკოლოზის ინსტიტუტში ხანძრის გაჩენის შესახებ. გასცა საჭირო განკარგულება. წაიკითხა ფრუნზეს დეპეშა. დაავალა მდივანს ეცნობებინა სამკერვალო მრეწველობის მუშათა იმ სრულიად-რუსეთის ყრილობის პრეზიდიუმისათვის, რომელიც ამ დღის მიმდინარეობდა, რომ მეტად სამწუხაროდ არ შეუძლია დაესწროს ყრილობას. საღამოს 10 საათიდან ლენინი თავმჯდომარეობდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს პურის კომისიის სხდომას. ასე გაიარა დღემ.

ყოველდღე უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებით გართული, ლენინი ჰპოულობდა დროს, რომ ეზრუნა ავადმყოფ თანამშრომლისათვის, ექიმი გაეგზავნა ავადმყოფისათვის. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ლენინის ბარათები, გამოფენილი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის (მოსკოვი) მე-13 დარბაზში. ფანქრით დაწერილი პატარა ბარათები დიდი ადამიანისადმი სიყვარულის განსაკუთრებულ გრძნობას იწვევენ. ეს ბარათები სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს უდიდესი ჰუმანურობის, ადამიანებისათვის განსაკუთრებული მზრუნველობის უმკაფიოეს დოკუმენტებად.

ლენინი სწერს მდივანს:

„მომაგონეთ ხვალ, უნდა ვნახო სტალინი და **მანამდე** ტელეფონით დამაკავშირეთ **ობუხთან** (ექიმთან) სტალინის შესახებ".

როდესაც ამხანაგი სტალინი ავად იყო, ვლადიმერ ილიას-ძე ეკითხება სერგო ორჯონიკიძეს:

„გთხოვთ მაცნობოთ, როგორ არის სტალინი და ექიმების დასკვნაც ამის შესახებ".

გავიდა ცოტა ხანი და ლენინი დეპეშას უგზავნის თბილისში ამხანაგ სერგოს:

„მაცნობეთ იმ ექიმის გვარი და მისამართი, რომელიც სტალინს მკურნალობს".

ერთერთ მუშაკს ვ. ი. ლენინი სწერს: „სტალინს ისეთი ბინა აქვს კრემლში, რომ ძილის საშუალებას არ აძლევენ (სამზარეულო — დილაადრიანვე ხმაურობა იწყება). ამბობენ, რომ თქვენ ითავეთ **წყნარ** ბინაში მისი გადაყვანა. გთხოვთ, რაც შეიძლება, ჩქარა, გააკეთეთ ეს და მომწერეთ. **შეგიძლიათ** თუ არა გააკეთოთ ეს და **როდის**".

აი ლენინის მეორე ბარათი თავისი მდივნისადმი: „როდესაც სტალინი ადგეს (არ გააღვიძოთ), უთხარით, რომ მე 11-დან კომისიაში ვარ (ჩემსას) და რომ ვთხოვ სტალინს მომცეს თავისი ტელეფონის **ნომერი** (თუ სტალინი წავა), ვინაიდან ტელეფონით უნდა მოველაპარაკო მას".

აი ვლადიმერ ილიას-ძის ბარათი ა. დ. ციურუპასადმი.

ძვირფასო ა. დ.! თქვენ სავსებით შეუწყნარებლად ეპყრობით სახაზინო ქონებას. განკარგულებაა: სამ კვირას იმკურნალოთ!.. გარწმუნებთ, მიუტევებელია ასე უდიერად მოექცეს კაცი სუსტ ჯანს. უნდა გამოკეთდეთ!..."

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში ვლადიმერ ილიას-ძე ასეთი შინაარსის ბარათს ჰგზავნის: „წინადადებას ვიძლევი **აიძულოთ** მანუილსკი წავიდეს **საუკეთესო** ექიმებთან (გაჰგზავნოთ ექიმები მასთან) დიაგნოზის დასასმელად და **სერიოზული** მკურნალობისათვის".

მეცნიერ კ. ა. ტიმირიაზევს ვ. ი. ლენინი სწერს ...„მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და მთელი სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ჯანმრთელობასა და ჯანმრთელობას!"...

ვლადიმერ ილიას-ძემ გაიგო, რომ სახკომსაბჭოს შენობაში ლიფტი ზედიზედ სამ დღეს არ იმუშავებს. ეს ლენინის აღშფოთებას იწვევს. იგი საქმეთა მმართველს სწერს: „...ეს მეტისმეტი უმსგავსოებაა. არიან გულით ავადმყოფი ადამიანები, რომელთათვის კიბეზე ასვლა მავნე და საშიშია. მე დავინიშნე პასუხისმგებელი პირი და ათასჯერ დავავალე თვალყური ადევნოს ლიფტს. სასტიკ საყვედურს გიცხადებთ. გავალებთ, გამოარკვიოთ, თუ ვინ არის დამნაშავე, რომ თავის დროზე არ გაგვაფრთხილა. ერთხელ კიდევ წარმომიდგინეთ პასუხისმგებელ პირთა სია; მაცნობეთ, თუ რა სასჯელი დაედო მათ".

ბარათებს შორის არის თხოვნა — მოუხერხონ გლეხ ჩეკუნოვს — სათვალის მიღება, გაჰგზავნონ მეცნიერი ვეისბორტი საზღვარგარეთ სამკურნალოდ. მითითება მდივნისადმი, რათა მან „როცა შემთხვევა მიეცემა, თავდაჭერილად" აუხსნას სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს კოლეგიის წევრს ხრიაშჩევას, რომელიც „შორს ცხოვრობს და ფეხით დადის" და „ცოდვაა", — აუხსნას, რომ მას შეუძლია სახკომსაბჭოს სხდომიდან უფრო ადრე წავიდეს და სულაც არ გამოცხადდეს, თუ დღის წესრიგში სტატისტიკის საკითხები არა დგას.

კლინცის სტოდოლსკის მაუდის ფაბრიკის მუშებისაგან ვლადიმერ ილიას-ძეს როგორღაც საჩუქარი მოუვიდა. მალე ლენინმა მათ მისწერა: „გულითადად გმადლობთ მოსალმებისა და საჩუქრისათვის. საიდუმლოდ გეტყვით, საჭირო არ არის ჩემთვის საჩუქრების გამოგზავნა. ძალიან გთხოვთ ეს საიდუმლო თხოვნა რაც შეიძლება ფართოდ გააცნოთ ყველა ამხანაგს"...

ლენინი მკაცრად ჰგმობდა და დაუნდობლად სდევნიდა საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმის, მიმსვლელთადმი ჩინოვნიკურ-უსულგულო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოხატულებას საბჭოთა დაწესებულებებში. ამავე დროს ილიჩი მოითხოვდა უცილობლად შესრულებინათ საბჭოთა დაწესებულებაში ყოველი მოქალაქისათვის დადგენილი წესები. ერთხელ ვლადიმერ ილიას-ძეს ცნობებისათვის სასწრაფოდ დასჭირდა ბერძნული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და რუსული ლექსიკონი. ლენინმა რუმიანცევის მუზეუმს მიჰმართა თხოვნით — მიეცა ეს წიგნები. ამასთან აღნიშნა: „ერთი დღით", „თუ,—დასძინა იქვე ილიჩმა,— წესების მიხედვით, საცნობარო გამოცემები შინ არ გაიცემა, ხომ არ შეიძლება მივიღოთ ერთი საღამოთი, ერთი ღამით, როცა ბიბლიოთეკა დაკეტილია. **დილისათვის დავაბრუნებ**". უკანასკნელი სიტყვები ლენინის მიერ ხაზგასმულია ოთხჯერ.

როცა ამ ბარათებს კითხულობ, ძალაუნებურად გაგონდება სიტყვები ჩვენი საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკისა, რომელიც ლენინზე სწერდა, რომ იგი ყველაზე „ადამიანური ადამიანია".

(საქდესი).

ლენინის დაბრუნება ემიგრაციიდან

(მოგონება)

ოცდასამი წელია მას შემდეგ!

სევდიანად მიცურავდნენ ემიგრანტების ცხოვრების წლები შვეიცარიაში, მაგრამ იმედი, რომ რუსეთში მალე მოხდებოდა რევოლუცია, გულში მაინც ღვივოდა! მაშინ რუსეთის რევოლუციურ მსვლელობას **ვ. ი. ლენინი** ციურიხიდან ხელმძღვანელობდა და ჩვენი, ჟენევაში მყოფ ემიგრანტების, ყურადღებაც მისკენ იყო მიპყრობილი.

ვიცოდით, რომ რუსეთის პროლეტარიატი კვლავ ცარიზმთან შეტაკებისთვის ემზადებოდა. ვიცოდით, რომ რევოლუციური ტალღები კვლავ აზვირთდებოდა. ჩვენც ველოდით... და ერთ დილას გაზეთებმა გვამცნეს თვითმპყრობელობის დამხობა და რევოლუციის დაწყება.

ემიგრანტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მეომარი სახელმწიფოებით გარშემორტყმულ შვეიცარიიდან რა გზით უნდა წავსულიყავით რუსეთში? ეს კითხვა გვაღონებდა, გულს გვიკლავდა, რადგან ვიცოდით, რომ საფრანგეთი და ინგლისი ომის მოწინააღმდეგე რევოლუციონერებს და სამოქალაქო ბრძოლის მომხრეებს, რუსეთში წასასვლელად თავის ტერიტორიაზე არ გაგვატარებდა, სხვა გზით კი სამშობლოში ვერ დავბრუნდებოდით.

ჟენევაში მყოფ ემიგრანტებს მოულოდნელად მოგვივიდა ბერნიდან დეპეშა. კრუპსკაია გვაცნობებდა, რომ ლენინს გადაეწყვიტა გერმანიის ტერიტორიით წასულიყო რუსეთში და ჩვენც მოგვიწოდებდა მას გავყოლოდით.

ნაბიჯი პასუხსაგები იყო, არა იმიტომ მხოლოდ, რომ ათასნაირ ცილს დაგვწამებდნენ და მრავალნაირ ბრალდებებს წამოგვიყენებდნენ,—ჩვენ იმაშიც არ ვიყავით დარწმუნებული, თუ გერმანია ნამდვილად გაგვიშვებდა და თავის ტერიტორიაზე არ დაგვტოვებდა.

მაგრამ რევოლუციისთვის დაბადებულს დიდ ლენინს განა შეეძლო უმოქმედობა და დუმილი მაშინ, როცა მის მშობლიურ ქვეყანაში ცეცხლის კოცონი იყო დანთებული? ამისათვის ლენინი ციურიხიდან ბერნში ჩამოვიდა, რომ შვეიცარიელ პარტიული ამხანაგების დახმარებით და გერმანელ ამხანაგებთან მოლაპარაკებით, რუსეთში გასვლის პირობები შეემუშავებინა. ჩვენც ბერნში უნდა შევკრებილიყავით.

ვ. ი. ლენინი ბევრჯერ მყავდა ნახული, ხოლო ახლა, ასე ახლო რომ ვიქნებოდი მასთან, დიდ ლენინთან,—უდიდეს სიხარულს განვიცდიდი.

აი ბერნის სადგურიც! შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქებიდან მოგროვილთა რიცხვი ოცდაათს არ აღემატება. ყველას გვიხარია, რომ ლენინს ვნახავთ, მის სიტყვას გავიგონებთ, მასთან ვიმგზავრებთ...

აი ლენინიც. კრუპსკაიასთან ერთად მოდის. გარს ვეხვევით... იმედი და რწმენა მის შეხვედრასთან ერთად გულში იფეთქებს. მივცვივდებით, ხელს ვართმევთ, თვალებში შევცქერით. ისიც გვიღიმის, გვეკითხება, — „რატომ არ წამოვიდნენ სხვა ამხანაგებიც?"... „ვერ გაბედეს ილიჩ, ვერა!", „მერე ინანებენ, გვიან იქნება!"... — ამბობს მტკიცედ ლენინი...

ლენინს ვაკვირდები და ვატყობ, რომ ფითრილია, თითქო უძილო ღამე გაუთენებია, მოთენთილია და დაღვრემილი.

მალე ვაგონში ავდივართ და ვტოვებთ შვეიცარიაში ათეული წლით გატარებულ ემიგრანტულ ცხოვრებას.

გავიარეთ შვეიცარიის საზღვარი. გერმანიაში დაპლომბილი ვაგონით ვიმგზავრეთ და როცა ბალტიის ზღვაზე გემში გადავედით, — თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

აგერ ლენინი ბაქანზე დადის. ახლა აღარ არის დაღვრემილი. სახე უცინის. ხშირად შედგება და ლურჯ სივრცეს გასცქერის. მისი ფიქრები ზღვის ტალღებზე უფრო აზვირთებულია. ქარი პალტოს კალთებს აფრიალებს...

ზღვა ღელავს. გემი ტალღებს ებრძვის. ლურჯი ზედაპირი რკინის კედელს ეჯახება, ძნის კონასავით იშლება. ერთი ტალღა ისე გათავხედდა, რომ შხეფები ბაქანზე ამოისროლა და ლენინის პალტო დაასველა.

„ამხანაგო ილიჩ! ეს პირველი რევოლუციური ტალღაა ბალტიის ზღვამ რუსეთიდან რომ მოაგორა და კოცნა გიძღვნათ!",— იხუმრა ერთმა.

ლენინი იცინის და ცხვირსახოცით იცილებს წვეთებს...

მეორე დილით სტოკჰოლმში მივედით. აქ შეგვხვდნენ ადგილობრივი პარტიული ამხანაგები, აღფრთოვანებით მიგვიღეს და საუკეთესო სასტუმროში მოგვათავსეს. უნდოდათ იმ ღამეს იქ დავრჩენილიყავით, დაგვესვენა და მეორე დღეს წავსულიყავით, მაგრამ ლენინი არ იცდიდა,—„რა დროს დასვენებაა, უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მალე მივიდეთ რუსეთში!"—იძახდა ის და ახლა კი უფრო გაბრწყინებული სახით სხვადასხვა განკარგულებებს იძლეოდა, რუსეთში დეპეშებს გზავნიდა, რათა ამხანაგებს საჭირო ზომები მიეღოთ ჩვენი შეხვედრისთვის. დარბაზში ჩქარი ნაბიჯით დაიარებოდა, ერთ რამეზე ფიქრობდა, რუსეთიდან მოსულ გაზეთებს ათვალიერებდა, წასვლას ჩქარობდა, მოუსვენრობდა...

სტოკჰოლმიდან იმ ღამესვე გავედით და მეორე დღეს ფინეთის საზღვრით უკვე რევოლუციურ რუსეთში შევედით.

იმ ღამეს ლენინის კუპეში მოვხვდი. სადგურს გავცდით თუ არა, ლენინმა გაიძრო პიჯაკი, აცოცდა საწოლზე, ჯიბიდან სტოკჰოლმში მიღებული გაზეთები ამოიღო და გულმოდგინეთ დაუწყო კითხვა.

მატარებელი წყვდიადით მოცულ ნაძვნარში მიჰქროდა. კუპეში სიჩუმე იყო. მხოლოდ გაზეთის შრიალი ისმოდა და ხმამაღლა გაბოროტებით წარმოთქმული ლენინის სიტყვები: **„Ах каналья, ах изменник!"**

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს სიტყვები ჩხეიძეს და წერეთელს შეეხებოდა, მათ მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო და ჩვენთვის ვიღიმებოდით. კიდევ გვესმოდა,—**„прихвостни изменники!"**

„არა, ეს სიტყვა „სოციალდემოკრატი" იმდენად გათახსირდა, რომ ჩვენ უნდა გამოვიცვალოთ სახელი და კომუნისტები დავირქვათ, მოგვმართა მან ანთებული თვალებით, რომლებიც ელექტრონის შუქზე სანთელივით ციმციმებდნენ.

მატარებელი მიჰქროდა, ვუახლოვდებოდით რევოლუციურ პეტროგრადს. როცა მატარებელი ბელოოსტროვის სადგურში შეგრიალდა, ბაქანზე თავმოყრილი მუშები შევნიშნე, იყო ჩოჩქოლი და მოძრაობა... წითელი დროშები შეჯგუფული თავების ზევით აფრიალებინათ და ჩვენი ვაგონისკენ მორბოდნენ...

შეჩერდნენ, ერთმანეთში აიბნენ. „გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ლენინს!" — იძახდნენ.

ჩვენ სიხარულს და აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს. ზევიდან დავცქერით რევოლუციურ დროშებს, ლენინისკენ მიპყრობილ მუშათა თვალებს და ვგრძნობთ იმ მტკიცე, შეურყევ ძალას, რომელსაც ხელში აელო რევოლუციის ბედი და ლენინის დაცვა.

ხოლო ეს ვინ არის მხრების რხევით შემჭიდროებულ ზურგებს რომ არღვევს და ჩვენი ვაგონის კიბისკენ მოიწევს? ტყავის მოკლე ქურქი აცვია, ყურებამდე ჩამოფხატული ქუდი ხურავს და მაღალყელიანი ჩექმებით კიბეზე ამოდის. ვაგონში შემოვიდა, გვერდზე გაიხედა, ვიღაცას ეძებს. ახლო გაგვიარა და ლენინთან მივიდა. გაუცინა, ხელი ჩამოართვა, გადაეხვია, მკლავებში ჩაბღუჯა...

დავაკვირდი და ვიცანი, — ეს იყო სტალინი...

მათ გარშემო შევქუჩდით და ვხედავთ როგორ უღიმით სახე, როგორ ციალებენ ლენინის და სტალინის თვალები.

„აი ვინ ყოფილა შეხვედრის ორგანიზატორი! რასაკვირველია, მაშ სხვა ვინ იქნებოდა?—გამიელვებს თავში.

ისინი კი ერთმანეთს შესცინიან. შეკითხვები და პასუხები მოკლეა. ჯერ დრო არ არის! სათქმელი კი ბევრია...

ვიცდი—ჩემსკენ მოიხედოს სტალინმა. როცა მოიხედა, ხელი ჩამომართვა, შემეკითხა: „რატომ მეტი ამხანაგები არ წამოვიდნენ ამ გზით".

ამ დროს ვაგონებიც დაიძრა. ლენინი ისევ ფანჯარასთან მივარდა. კეპი მოიხადა, მაღლა ასწია. ბაქანიდან კვლავ გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ლენინს!

მატარებელმა პეტროგრადისკენ გაგვაქანა. ჩვენი კუპე გაჭედილია ამხანაგებით, ზოგი დგას, ზოგი ზის. აღფრთოვანებული თვალები, სიხარული, რწმენა და იმედი...

მალე ჩვენი რევოლუციური ვაგონი პეტროგრადის სადგურს მიადგა. აქაც დიდი ბაქანი სავსეა ხალხით.

მაგრამ ეს რაღაა?—ჯარისკაცები მხარზე გადებული შაშხანებით, მეზღვაურები მოკლე თოფებით და მუშები ბერდანებით... სივრცეში ფრიალებენ წითელი დროშები, ისმის სიმღერა და ძახილი...

მატარებელი გაჩერდა. გავცქერით სანახაობას,—შემჭიდროებული ხალხი ჩვენსკენ გამორბის, სამხედრო მუსიკა გრიალებს და გული ლამის საგულედან ამოვარდეს სიხარულისაგან...

ორიოდე წუთით უმოძრაოდ შევჩერდით. გავინაბეთ. დამხდურები და მოსულები — თითქოს ერთმანეთის ხილვა ღრმად გვინდა ჩავიბეჭდოთ ხსოვნაში, თითქო ისტორიულმა წუთებმა მოგვაჯადოვა — გაშტერებული თვალებით ვუმზერთ ერთმანეთს... და უცბად გვესმის **„Ленина давайте нам сюда, Ленина!"** ..

ხმამაღლა იძახის ხალხში ჩამდგარი ამხანაგი. შემჭიდროებულ მხრებს არღვევს და ჩვენს ვაგონში შემოდის. ლენინს მკლავში მოჰკიდებს ხელს და ბაქანზე ჩაიყვანს.

ლენინი და სტალინი ჯარისა და მეზღვაურების წინ გაატარეს.

მერე ჯავშნიან მატარებელში ჩასვეს და პროჟექტორით განათებული ქუჩით წაიყვანეს...

რუსეთის ცხოვრებაში ეპოქალური ხანა იწყებოდა. მთავრდებოდა უკანასკნელი მოქმედება ძველი დროისა და იხსნებოდა ახალი ფარდა, ახალი ხილვა, ახალი ცხოვრება.

იწერებოდა ახალი ფურცლები—ლენინისა და სტალინის შესაფერი...

დავით სულიაშვილი

„დაუვიწყარ შთაბეჭდილებათა სასახლე"

(ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი)

შორეული ჩრდილოეთიდან ჩამოვიდნენ ექსკურსანტები. ესენი იყვნენ ტრესტ „ორჯონიკიძელესის" სტახანოველები. მივიდნენ ისინი ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, დაათვალიერეს იგი, გაეცნენ დოკუმენტებს ოქტომბრის დიდი რევოლუციის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და დაბრუნებისას შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერეს:

„—სიამაყის გრძნობამ შეგვიპყრო, როცა დავამთავრეთ ამ შესანიშნავი მუზეუმის დარბაზებში გამოფენილ დიად საქმეთა დოკუმენტების დათვალიერება. ჩვენც ხომ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა არმიას ვეკუთვნით!.. ეს სახლი რუსთაველის პროსპექტზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებათა სასახლეა..."

ათასობით ექსკურსანტები მოდიან აქ — ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დასათვალიერებლად, დიად და უკვდავ საქმეთა დოკუმენტების გასაცნობად, ბოლშევიკური პარტიის ბელადების ლენინისა და სტალინის მოღვაწეობის, მათ მიერ შექმნილი და განმტკიცებული გმირული პარტიის წარსულის შესასწავლად. მოდიან საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყოველი კუთხიდან. მოკავშირე რესპუბლიკებიდან, შორეული ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

მოდიან თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე № 33-ში, შესანიშნავ და ქალაქის დამამშვენებელ დიდ შენობაში მოწყობილი მუზეუმის დასათვალიერებლად.

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მოწყობის მთავარი ინიციატორი და სულისჩამდგმელი ამხანაგი ლავრენტი ბერია საქართველოს ბოლშევიკების XI ყრილობაზე ამბობდა:

„...ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი ლენინიზმის პროპაგანდის ახალი მძლავრი კერა იქნება. იგი დიდ დახმარებას გაუწევს პროპაგანდისტებს და მთელ პარტიულ აქტივს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში". (საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის სტენოგრ. ანგარიში, გვ. 68).

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი დიდი პოპულარობით სარგებლობს მშრომელ მასებში. მრავალრიცხოვანი მშრომელებისა, პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებისათვის ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი ლენინიზმის პროპაგანდის ნამდვილი კერა გახდა.

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი ორ წელიწადზე ნაკლები დროა, რაც არსებობს. იგი მნახველთათვის გაიხსნა 1938 წლის 2 ივლისს. ამ ხნის განმავლობაში მუზეუმი დაუთვალიერებია თითქმის მეოთხედ მილიონ კაცს. 1938 წლის 2 ივლისიდან 1940 წლის 1 იანვრამდე კი 214.588 მნახველს გაუვლია მუზეუმის დარბაზებში.

ფილიალის 23 დარბაზში თავმოყრილი და გამოფენილია 2900-ზე მეტი დოკუმენტი და მასალა ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ფილიალში გაერთიანებულია ლენინ-სტალინის მოძღვრების პროპაგანდის ისეთი დიდმნიშვნელოვანი კერები, როგორიცაა შესანიშნავი გამოფენა, მოწყობილი ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების მიხედვით—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გამოფენა ქ. გორში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ და ალექსანდრე წულუკიძის სახლი-მუზეუმი ქუთაისში.

დიდი ლენინის დაბადების 70 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით მუზეუმში მომსვლელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. უკანასკნელ დღეებში მუზეუმში ყოველდღიურად მოდის 30 თემატიკურ ექსკურსიაზე მეტი. გარდა ამისა, გაიზარდა მასობრივ ექსკურსიათა რიცხვიც.

ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს ჩოდრიშვილის ყოფილი სახელოსნოს რესტავრაცია და მოაწყოს იქ გამოფენა. ამ სახელოსნოში, როგორც ცნობილია, იმართებოდა კავკასიის კავშირის კომიტეტის სხდომები და დროგამოშვებით იქ ცხოვრობდა დიდი სტალინი.

გადაწყვეტილია აგრეთვე რესტავრაცია იმ სახლისა სოფ. ტყვიავში (გორის რაიონი), სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მგზნებარე რევოლუციონერმა და დიდი სტალინის თანამებრძოლმა ლადო კეცხოველმა.

უკვე რესტავრირებულია და მოწყობილია გამოფენა თბილისის ობსერვატორიის იმ ოთახში, სადაც 1899-1900 წლებში მუშაობდა ამხანაგი სტალინი.

ყველა ამ ობიექტებს მომსახურებას უწევს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი.

22 აპრილს, დიდი ლენინის დაბადების 70 წლისთავზე მუზეუმის დარბაზებში დამატებით გამოფენილი იქნება ახალი მასალები, მათ შორის 7 დიდი მხატვრული სურათი. ამ სურათებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. ქუთათელაძის ნამუშევრები — „ბოლშევიკები სტოკჰოლმის ყრილობაზე" და „ლენინი და სტალინი გორკაში".

უდიდესი ინტერესით და სიყვარულით ეცნობიან მშრომელები მუზეუმის დარბაზებში გამოფენილ ექსპონატებს. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნები აივსო მნახველთა ჩანაწერებით. დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობენ მნახველები ამ ჩანაწერებში.

დ. ლომთაძე.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ინგლისის ცნობა

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, იმ თვითმფრინავებმა, რომლებიც ინგლისის სამხედრო გემებს ახლდნენ, სტავანგერის ბომბარდირების დროს ჩამოაგდეს ერთი „ჰაინკელი", ერთი მფრინავი ნავი „დორნიეს" ტიპისა და დააზიანეს მტრის სამი თვითმფრინავი. გარდა ამისა, ინგლისის თვითმფრინავების მიერ ჩამოგდებული ორი ყუმბარა გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებს მოხვდა. ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა აგრეთვე მტრის თვითმფრინავებზე ნარვიკის მახლობლად და გაანადგურა მათი ნაწილი.

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტროს ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, ბრძოლის დროს დაზიანებული ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ეკლიფსი" 1365 ტონა წყალწყვისა ამჟამად თავის ბაზაში იმყოფება.

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ჯარმა მთლიანად დაიპყრო ლოფოტენის კუნძულები. ელვერუმისა და ჰამარის რაიონში ორი დღის განმავლობაში დიდი ბრძოლაა, მაგრამ ცნობები იქიდან თითქმის არ მოდის.

გუშინ სტოკჰოლმში ავრცელებდნენ მრავალ ცნობას იმის შესახებ, რომ სკაგერაკის სრუტეში შვეციის დასავლეთ სანაპიროსთან ქვემეხთა გრიალი გაისმოდა. როგორც გადმოგვცემენ, ეს კანონადა მრავალ ადგილას ისმოდა.

რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ ელვერუმი მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტია ჩრდილო ნორვეგიასთან კავშირისათვის. კონგსვინგერის დაცემის შემდეგ გერმანიის ჯარის წინსვლას ყოველნაირად აძნელებენ ნორვეგიელთა რაზმები, რომელნიც, აფეთქებენ ხიდებსა და ნაღმავენ გზებს. თუ დადასტურდა ცნობები იმის შესახებ, რომ კანადელი ჯარები გადავიდნენ რომსდალსფიორდის შესასვლელთან, მაშინ უახლოეს ხანში გააფთრებულ ბრძოლას უნდა ველოდოთ ჰამარის სექტორში.

○

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, შვეციის პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის ერთი და ინგლისის ორი დივიზია გადავიდა ნამსოსში, ლიერდანში და მოლდეში. გადმოგვცემენ, რომ ჰამარი და ელვერუმი კვლავ გერმანელების ხელშია.

რეიტერის სააგენტო ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების პერსპექტივების შესახებ

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველის აზრით, ინგლისის საექსპედიციო არმიას ნორვეგიაში შეუძლია ნორვეგიის არმიასთან მჭიდრო თანამშრომლობის იმედი იქონიოს. ტრონჰეიმსა, ბერგენსა და ოსლოში გერმანელები ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს მოკავშირეთა ჯარების კონტრშეტევის მოლოდინში. გერმანიის ჯარმა დანაღმა ხიდები, ზოგიერთი რაიონიდან გაიყვანა სამოქალაქო მოსახლეობა და სტრატეგიულ პუნქტებში მოაწყო ტყვიამფრქვევთა ბუდეები. ნორვეგიის გენერალური შტაბი პირველი რიგის ამოცანად ისახავს მტრის განდევნას იმ რაიონებიდან, სადაც მას ყველაზე უფრო სუსტი კომუნიკაციები აქვს. ცნობების თანახმად, ნორვეგიის ჯარმა სტეინკიერში, ტრონჰეიმის ჩრდილოეთით 120 კილომეტრზე, დაამყარა კონტაქტი ინგლისის ჯარის ნაწილებთან. გერმანელმა გენერალმა ვაისმა ნამსოსის მიმართულებით მოაწყო სამი თავდაცვითი ხაზი. ვაისს, რადაც უნდა დაუჯდეს, სურს კონტროლი გაუწიოს ტრონჰეიმ-ოსლოს რკინიგზას, მაგრამ ამისათვის მას მოუხდება ნორვეგიის ჯარის განდევნა სტეინკიერიდან.

სავსებით შესაძლებელია, რომ მოკავშირეთა ჯარები შესძლებენ ნორვეგიაში იმავე ტაქტიკის გამოყენებას, რასაც ინგლისის არმია ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრებზე იყენებდა. ეს ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ მთაგორიან რაიონში მოქმედი ჯარის კოლონები წინასწარ გზავნიან რაზმებს გზის ორივე მხარეზე გორაკების დასაცავად. ამგვარი ტაქტიკა ხორციელდება მანამდე, სანამ კოლონები არ გასცდებიან მთაგორიან ადგილებს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი წინააღმდეგობას წააწყდებიან, გზებს, რომლებითაც კოლონები მიდიოდნენ, ჯარი სწმენდს, და ყველა ნაწილი ცდილობს მტერს მოხერხებული მანევრით ფლანგიდან შემოუაროს. ეს ტაქტიკა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოიპოვებიან ისეთი მეგზურები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ადგილმდებარეობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებული ინგლისის ელჩის სიტყვა

ნიუ-იორკი, 20 აპრილი (საკდესი). გუშინ სან-ლუის (მისურის შტატი) სავაჭრო პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოტიანმა, რომელმაც მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს დახმარება აღმოუჩინეთ ინგლისსა და საფრანგეთს. ლოტიანმა ინგლისის იმპერიალიზმი მსოფლიო ცივილიზაციის, დემოკრატიისა და თავისუფლების დამცველად გამოიყვანა და „ხანგრძლივი და საშინელი ომი" იწინასწარმეტყველა. შემდეგ ლოტიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის საზღვაო უპირატესობა „მთელი მსოფლიოს თავისუფლების დაცვის გარანტიას წარმოადგენს", ხოლო ინგლისის საზღვაო ფლოტი „მონროეს დოქტრინის დაცვის პირველი ხაზია". შემდეგ ლოტიანმა თავის სიტყვაში მთელი მსოფლიო გაჰყო ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროებად; მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ინგლისი ბატონობს ატლანტის ოკეანეში, ამერიკის შეერთებული შტატები კი—წყნარ ოკეანეში. მომავალი მეტწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებენ თავიანთ ძლიერებას ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, თვითეული თავის საკუთარ სფეროში". ლოტიანი არწმუნებდა ამერიკელებს დათანხმებულიყვნენ იმაზე, რომ ინგლისს კონტროლი გაეწია ამერიკის ფოსტისა და ვაჭრობისათვის და აღუთქვა მათ, რომ ეს კონტროლი არ იქნება გამოყენებული ინგლისის სავაჭრო კონკურენციის მიზნით. ლოტიანმა აღუთქვა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაანაწილოს ინგლისის უდიდესი შეკვეთები და აღნიშნა, რომ ომის პირველ წელს ეს შეკვეთები 400 მილიონ დოლარს მიაღწევს, ხოლო ომის მეორე წელს—მნიშვნელოვნად გადაამეტებს ამ თანხას. შემდეგ ლოტიანმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ომი 3 წელზე მეტ ხანს გაგრძელდება. ლოტიანმა სინანულით განაცხადა, რომ საჭიროა შემცირდეს ინგლისის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა, ვინაიდან „ინგლისს არ ძალუძს ამ პროდუქტების შესყიდვა"; როგორც სჩანს, ამით ლოტიანი ამზადებს წინადადებას ინგლისისათვის კრედიტების მიცემის შესახებ. დასასრულ ლოტიანმა იმედი გამოსთქვა, რომ მოკავშირეები გაიმარჯვებენ და განაცხადა, რომ „ინგლის-საფრანგეთის ძალებთან ამერიკის შეერთებული შტატების შეერთება უზრუნველჰყოფს გაცილებით უფრო ჭარბ მასობრივ შემტევ ძალას".

დანიისა და ნორვეგიის სავაჭრო გემების მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, მოლაპარაკება დანიის გემების კაპიტნებსა და ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩიხში მოემწყვდა. დანიის გემთმფლობელნი ცდილობენ მიიღონ ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენელთან ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში იმის ნებართვა, რომ დანიის გემებმა განაგრძონ მუშაობა სამხედრო ზონებს გარეთ მდებარე ნეიტრალური ქვეყნების ხაზებზე.

გაზეთი სწერს, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა დააკავეს დანიის 50-ზე მეტი გემი, რომლებიც უცხოეთის ნავსადგურებში იმყოფებიან. ამერიკის 30 ნავსადგურში ამჟამად არიან დანიის გემები, რომელნიც განკარგულებას ელიან. ინგლისის ხელისუფალნი კვლავ აძლევენ მითითებებს ნორვეგიის გემებს თავშესაფარი ინგლის-საფრანგეთის ნავსადგურებში ეძებეთო.

გაზეთის სიტყვით, ამერიკის სანაოსნო კომპანიის „ბლეკ დაიმონდ კომპანის" წარმომადგენლებმა განაცხადეს: ჩვენ უახლოეს ხანში ველით, რომ გაათავისუფლებენ ჩვენს კუთვნილ ოთხ გემს, რომლებიც მიწერილია ნორვეგიის ნავსადგურებზე და დაკავებულია კონტრაბანდის კონტროლის მიერ, რაც ინგლისმა დააწესა.

როგორც ამერიკის საქმიანი წრეების ორგანო „ჟორნელ ოფ კომერსი" იუწყება, ამერიკის სანაოსნო და სხვა კომპანიები, რომელნიც დაინტერესებული არიან სკანდინავიის ნაოსნობით, ცდილობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გარკვეულობა შეიტანოს დანიისა და ნორვეგიის გემების ბედის საკითხში.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 16 აპრილს კანადის ერთ-ერთ აღმოსავლეთ ნავსადგურში ჩავიდა დანიისა და ნორვეგიის ნავსადგურებზე მიწერილი 10 გემი.

იაპონელი ჯაშუშები ჩუნცინის მიდამოებში

ჩუნცინი, 20 აპრილი (საკდესი). ჩუნცინის ხელისუფლებამ ცნობა მიიღო, რომ ქალაქის ახლომახლო ადგილებში შეპარულან იაპონელთა აგენტები, რომელთაც პორტატიული რადიოგადამცემლები აქვთ, რათა საიდუმლო ცნობები და აგრეთვე მეტეოროლოგიური ცნობები გადასცენ იაპონელებს. ადგილობრივი ჯარის შტაბმა 100.000 ჩინური დოლარი გადასდო იმათ დასაჯილდოებლად, ვინც ამ რადიოსადგურთა ადგილს უჩვენებს.

ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრ დე გეერის სიტყვა

ბერლინი, 20 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა დე გეერმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ჰოლანდიელმა ხალხმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ჰოლანდია რომელიმე მეომარ მხარეს შეუთანხმდეს. ამგვარი შეთანხმება ჰოლანდიის ნეიტრალიტეტს ეწინააღმდეგება. ამიტომ ჰოლანდიის მთავრობა უარჰყოფს მესამე სახელმწიფოთა ყოველგვარ დახმარებას. ესევე ითქმის ჰოლანდიის კოლონიურ სამფლობელოებზე". ჰოლანდიას,—აღნიშნა დე გეერმა, მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი აქვს.

დე გეერმა სხვათა შორის განაცხადა, რომ ჰოლანდია, ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შესაბამისად, გასული წლის სექტემბრიდან დაწყებული, სისტემატურად ადიდებდა თავის სამხედრო ძლიერებას. „ვინც მოისურვებს ჰოლანდია თავის მოწინააღმდეგეზე თავდასხმისათვის გამოიყენოს, იგი ჰოლანდიის გზას დაკეტილს იპოვის". დე გეერმა აღნიშნა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა მთელს ჰოლანდიაში საალყო წესები გამოაცხადოს.

ინდოეთის მემარცხენე მოღვაწის დაპატიმრება

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ პატნაში „ინდოეთის დაცვის" კანონის საფუძველზე დაპატიმრებულია სრულიად-ინდოეთის გლეხთა ორგანიზაციის გენერალური მდივანი სარასვატი ცნობილი „ანტიკომპრომისული" კონფერენციის ერთერთი ორგანიზატორი. სარასვატი არის უახლოესი თანაშემწე ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფილი თავმჯდომარის ბოსისა, რომელიც სათავეში უდგას ინგლისთან ყოველგვარი კომპრომისის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას და ინდოეთის სრული დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლას.

ტიანძინში არსებული უცხოური კონცესიების ბლოკადის გამო

შანხაი, 20 აპრილი (საკდესი). იაპონური წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ტიანძინში არსებული ფრანგული და ინგლისური კონცესიების ბლოკადა მოიხსნება მას შემდეგ, რაც გადაწყდება იაპონელთათვის იმ ვერცხლის გადაცემის საკითხი, რომელიც ჩინეთის ნაციონალური მთავრობის ბანკებს ეკუთვნის და ამჟამად ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე ინახება. არის ცნობები, რომ ამ საკითხზე, ერთი მხრივ, იაპონიის ხელისუფალთ და, მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ძირითადად უკვე მიღწეულია ურთიერთგაგება.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 21 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: 20 აპრილს საღამოს ნარვიკის მახლობლად გამოჩნდნენ მტრის სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც დიდხანს უშენდნენ ნარვიკს. ინგლისელები არ ცდილან ჯარი გადაესხათ. ნარვიკის რაიონში გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო 8 ათასი შაშხანა და 315 ტყვიამფრქვევი საომარი მასალითურთ.

ბერგენისა და სტავანჰერის რაიონში გერმანიის ჯარი კვლავ აფართოებს მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს და სწმენდს მათ ნორვეგიის მცირე რაზმებისაგან.

ოსლოს რაიონში გერმანიის ჯარმა წინ წაიწია ამოტამდე და 50 კილომეტრზე ჰამარის ჩრდილოეთით. გერმანიის ჯარი გიევიკს მიუახლოვდა.

ჰარდანგერ-ფიორდში ჩაძირულ იქნა ნორვეგიის რამდენიმე პატარა სამხედრო ხომალდი. 20 აპრილს გერმანიის ავიაციამ ხელი შეუშალა ინგლისელებს ნამსოსისა და ანდალსნესის მახლობლად ჯარის გადასხმაში. ანდალსნესთან ინგლისის კრეისერი საჰაერო ბომბარდირებაში მოჰყვა და ჩაიძირა. ინგლისის მეორე კრეისერი ნაპირზე გამოირიყა. მეორე ადგილას 15 ათას ტონა წყალწყვის ტრანსპორტს რამდენიმე ყუმბარა მოხვდა. გემზე ხანძარი გაჩნდა. ჯარის გადასასხიდი ერთი ტრანსპორტი ძლიერ დაგვერდა ყუმბარების მოხვედრის გამო. ამ ადგილებში გადასული ინგლისის ჯარი ბომბარდირებაში მოჰყვა და დიდი ზარალი ნახა ადამიანებისა და მასალის მხრივ. მტრის შეტევის გზები და ხიდები ყუმბარებით არის დანგრეული.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, გერმანიის პატრულმა 3 ოფიცრისა და 18 ჯარისკაცის შემადგენლობით, რომელიც ბიერნფელის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, ორიენტაცია დაჰკარგა, ნორვეგია-შვეციის საზღვარს გადავიდა და განიარაღებული და ინტერნირებულ იქნა შვეციის სანაპირო ჯარის მიერ.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). სამხედრო სამინისტრო იუწყება: 19 აპრილს ინგლის-საფრანგეთის ჯარმა დაიკავა ნორვეგიის ზოგი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი. ნამსოსის რაიონში გადასული ინგლისის ჯარი მაგრდება ქალაქის აღმოსავლეთით.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიის ჩრდილო ნაწილში გადასულ ინგლის-საფრანგეთის ჯარს თავის შემადგენლობაში ჰყავს მექანიზებული ნაწილები, რომლებიც მომარჯვებული არიან ნორვეგიის პირობებში მოქმედებისათვის.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნორვეგიის ჯარი თავს იყრის ტრონჰეიმის ჩრდილოეთით და კონტაქტი დაამყარა მოკავშირეთა ჯართან, რომელიც გადასულია ნამსოსში და ტრონჰეიმიდან 100 მილით დაშორებულ მოლდეში. ნორვეგიის ჯარმა კონტაქტი დაამყარა აგრეთვე ტრონჰეიმის სამხრეთით განლაგებულ მოკავშირეთა ჯართან. გერმანელები თავდაცვითს სიმაგრეებს აგებენ ტრონჰეიმის გარშემო. ისინი ცდილობენ შეაჩერონ მოკავშირეთა ჯარის წინსვლა ნამსოსის სამხრეთისაკენ.

„დეილი მეილი" იუწყება, რომ მოლდეში გადასულმა ინგლისის ჯარის ნაწილებმა ბრძოლა გაუმართეს გერმანელებს.

ნორვეგიის ცნობები

სტოკჰოლმი, 21 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარი მონაწილეობს აღმოსავლეთ ნორვეგიაში წარმოებულ ბრძოლაში. გერმანიის თვითმფრინავებმა გუშინ კვლავ დაუშინეს ყუმბარები ქალაქ რენასა და ოსენს (ლილეჰამერის აღმოსავლეთით).

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ტემზის შესართავთან

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: გუშინ გვიან საღამოს ტემზის შესართავთან გამოჩნდნენ გერმანიის თვითმფრინავები. საზენიტო ბატარეებმა სროლა აუტეხეს. ინგლისის რამდენიმე ავიაგამანადგურებელი ჰაერში აფრინდა.

ნორვეგიაში დაინიშნა ინგლისის მეორე სამხედრო-საზღვაო ატაშე

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ „მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის მთავრობამ ადმირალი ედვარდ ევანსი ინგლისის მეორე სამხედრო-საზღვაო ატაშედ დანიშნა ნორვეგიაში".

გერმანია უარყოფს

ბერლინი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ბერლინის წრეები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ნარვიკის შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის რადიოთა მიერ სხვადასხვა ენაზე გადმოცემული ცნობები ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან. 19 აპრილს პარიზიდან ინგლისურ ენაზე იუწყებოდნენ, რომ ნარვიკში გერმანიის ჯარი ორ ნაწილად არის გაყოფილი და ეს ნაწილები ერთმანეთს არიან მოწყვეტილი. საღამოს ლონდონი ამტკიცებდა, რომ ინგლისისა და ნორვეგიის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას ნარვიკზე. ბერძნულ ენაზე იუწყებოდნენ, თითქოს ინგლისის თვითმფრინავებს ყუმბარა დაეშინოთ ნარვიკისათვის, გერმანულ ენაზე კი ლონდონი იუწყებოდა, ნარვიკის მისასვლელები უკვე ინგლისელთა ხელშიაო. უნგრეთში მიღებულია ყალბი ცნობა, თითქოს ნარვიკის მიდამოები გერმანიის ჯარისაგან გაწმენდილია.

გერმანიის მხრით აცხადებენ, რომ წინა ცნობებთან შედარებით ამ ცნობებს უფრო მოკრძალებული კილო აქვთ, მაგრამ ჭეშმარიტებისაგან მაინც შორს არიან, რადგან ნარვიკი უწინანდებურად გერმანიის ჯარის ხელშია. გერმანიის სახმელეთო ჯარის ზარალი ნარვიკის რაიონში იმდენად უმნიშვნელოა, რომ მარტო ეს ფაქტი აბათილებს დასავლეთის სახელმწიფოების ფანტასტიკურ ცნობებს დიდი ბრძოლების შესახებ ამ რაიონში.

დღეს, 22 აპრილს
თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველი I სეანსი 6-30, II 8-30, III 10-30	**ვიბორგის მხარეზე** ხმოვანი მხატვრული კინოსურათი.
კომინტერნი I 6-30, II 8-15, III 10-10	
დამკვრელი I სეანსი 6-30, II 8-30, III 10-30	**დიადი განთიადი** ხმოვანი მხატვრული კინოფილმი
ოქტომბერი I სეანსი 6-30, II 8-30, III 10-30	**ჩემი უნივერსიტეტები** მხატვრ. ხმოვ. სურათი
კომკავშირელი I სეანსი 6-30, II 8-30, III 10-30	**უკანასკნელი საგუშაგო** (ესკადრის დაღუპვა)
რ. ლუქსემბურგის სახ. I სეან. 6-30, II 8-30, III 10-30	**დიდი ცხოვრება** მხატვრული ხმოვანი სურათი
სპარტაკი I სეან. 6-30, II 8-30, III 10-30	**მეზღვაურები** ხმოვანი ფილმი
26 კომისრის I სეან. 6-30, II 8-30, III 10-30	**ლენინი ოქტომბერში** დოკუმენტალური ხმოვანი ფილმი

ექიმები ვერა ჟვანია, ქსენია ბარკალაია და ცაცა გაბესკირია ქმარშვილით იუწყებიან ექიმ მარო ებრალიძის მეუღლის
მიშა ვასილის-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. 6060

ნიკო, ლენა გიორგობიანები, ტუსია, დათა, თეიმურაზ მურვანიძეები, ლიდა, ანდრო ღონღაძეები, ოლღა ენუქიძე, თამარ, მალაქია ბრეგვაძეები იუწყებიან
ნ ო რ ი კ ო ს
გარდაცვალებას.

ცოლი მარიამ, შვილები ნუგზარ, იზა, დედა საშა, ძმები შოთა, სოსო ცოლით, დები მარგარიტა, ბაბულია, კატუშა, სიძეები ბეგიაშვილი, კავკავაშვილი იუწყებიან
მიშა სიმონის-ძე ჩახოშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/IV 5 ს. თბილისი, ჩარის შეს. 14.

თევდორაშვილი, საკალოვა, მალოვიჩკოვა, მრევლიშვილი, გაჩავა, დოლიძე, ჭუგული შათაშვილი, ჩარბეკიანი იუწყებიან არქიტექტორ იოსებ ზაალიშვილის დის
ქეთო გიორგის-ასულ ზაალიშვილის
გარდაცვალებას. 6059

ვასილ არაბიძე დედით ანათი, ცოლით მერით, შვილებით თამარით, მიშათი, გრიშათი, მარუსათი იუწყება საყვარელი სიძის
ალექსანდრე სამსონის-ძე ჩაფიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ზესტაფონში 23/IV.

შვილები კონსტანტინე, პავლე, ელენე, პეტრე, ქეთო, ლილი იუწყებიან
ალექსანდრე სამსონის-ძე ჩაფიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 23/IV კალინინის, 28. 6070

სახელმწიფო ერმიტაჟის იუბილე

19 აპრილს ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში შედგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ერმიტაჟის 175 წლისთავისადმი. სხდომის ჩატარების შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც მოწვეული იყვნენ ლენინგრადში მყოფი საბჭოთა კავშირის გმირების ერთი ჯგუფი, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. ერმიტაჟის დირექტორმა აკად. ი. ორბელმა პირველი სადღეგრძელო მიუძღვნა ბანკეტზე მყოფ ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, საბჭოთა კავშირის გმირს ილია ხმალაძეს. საპასუხო სიტყვაში ამხ. ი. ხმალაძემ უამბო დამსწრეთ თავისი გმირობის შესახებ თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე.

აკად. ი. ორბელმა სახელმწიფო ერმიტაჟის სახელით ამხ. ი. ხმალაძეს უთავაზა გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის" ძვირფასი გამოცემა.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აკად. ი. ორბელმა განაცხადა, რომ ამ მოკლე ხანში სახელმწიფო ერმიტაჟში გამოკიდებული იქნება საბჭოთა კავშირის გმირის ილია ხმალაძის პორტრეტი.

ო. ეზაძე.

წინასამაისო საკოლმეურნეო ბაზრობის მეორე დღე

წინასამაისო საკოლმეურნეო ბაზრობის მეორე დღე თბილისის შვიდსავე საკოლმეურნეო ბაზარზე გაცხოველებით დაიწყო. ყველა ბაზარზე ბლომად იყო ბოსტნეული, კარტოფილი, ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი, კარაქი, ფრინველი და სხვა.

თუ პირველ დღეს ბაზრობაზე უმთავრესად თბილისისა და მცხეთის რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები მოვიდნენ, 21 აპრილს ბაზრობაზე ჩამოვიდნენ 50 რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

ორგანიზებულად ჩამოვიდნენ ბორჩალოს, ყარაიას, საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობები, სომხეთის სს რესპუბლიკის სტეფანავანის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლა", კალინინის რაიონის კოლმეურნეობები „ავანგარდი" და „რემედასი" და სხვა. მათ ბლომად ჩამოიტანეს ერბო, კარაქი, კვერცხი, ყველი, ლობიო, კომბოსტო, რის გამო ვერის ბაზარზე გუშინ საგრძნობლად შემცირდა ფასები. მაგალითად, წინადღესთან შედარებით ყველსა და ხორცზე ფასი შემცირდა 20 პროცენტით, ხოლო ფრინველზე—30 პროცენტით. 50 პროცენტით და მეტადაც გაიაფდა ბოსტნეული, კარტოფილი.

ფასების შემცირების მისაბაძ მაგალითს იძლევა თბილისის მახარაძის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა. თბილისის ბაზრებზე მას 30-ზე მეტი სავაჭრო წერტი აქვს. ამ დღეებში ისინი ყველს, კვერცხს, ერბოს, ბოსტნეულს, კარტოფილს დაკლებულ ფასებში ჰყიდიან, მაგალითად, კილოგრამ კარტოფილს—1 მანეთად, ხახვს—2 მანეთად, გუდის ყველს—18 მანეთად და სხვ.

ამასთანავე წინასამაისო საკოლმეურნეო ბაზრობასთან დაკავშირებით თბილისის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ ბოსტნეულის ახალი სანიმუშო სავაჭრო გახსნა პუშკინის ქუჩაზე, სადაც მშრომელებს მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ შეიძინონ ყოველნაირი ბოსტნეული. ამ დღეებში კოლმეურნეობა ბაზარზე კიტრსაც გამოიტანს.

საკოლმეურნეო ბაზრებზე გაიშალა აგრეთვე შემხვედრი ვაჭრობა. საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზარზე დიდძალი სამრეწველო საქონელი გამოიტანა თბილვაჭრობამ, განსაკუთრებით „გლავლენპრომმა". მცხეთის, დუშეთისა და სხვა რაიონებიდან ბაზრობაზე ჩამოსული კოლმეურნეები აქ ყიდულობენ შაქარს, ჩითს, სატინს, მიტკალს, დიდი ასორტიმენტის ტილოს და სხვ. თბილვაჭრობამ ბლომად გამოიტანა ბავშვების, მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელი.

მიუხედავად ამისა, შემხვედრი ვაჭრობა ყველა ბაზარზე დამაკმაყოფილებლად არ სწარმოებს. თბილვაჭრობას ვერის ბაზარზე ჯერ არ გამოუტანია გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო საქონელი. ვერის ბაზარზე ჩამოსულ კოლმეურნეებს სამრეწველო საქონლის შეძენა საბურთალოს ბაზარზე უხდებათ. თბილვაჭრობამ ეს ნაკლი საჩქაროდ უნდა გამოასწოროს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას გადამყიდველებთან და სპეკულანტებთან. საბურთალოსა და ვერის ბაზრებზე დილაადრიან იყვნენ შემჩნეული საეჭვო პირები, რომლებიც ლამობდნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ისე სამრეწველო საქონლის შესყიდვას. მაგრამ ბაზრის დირექტორმა ამხ. ა. ბანითაშვილმა მილიციის დახმარებით დროზე მიიღო ზომები მათ წინააღმდეგ.

მუშსოფლკორთა კაბინეტში

(ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17).

კედლის გაზეთების რედაქტორებისა, სარედაქციო კოლეგიების წევრებისა და მუშსოფლკორებისათვის „კომუნისტის" რედაქციაში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაციები და საუბრები ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე.

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები და დაესწრნენ საუბრებს ყოველდღე, დილის 11 საათიდან 5½ საათამდე და საღამოს 8 საათიდან ღამის 11 საათამდე.

⊙

22 აპრილს შესდგება ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებში

სახოპერა — „ბახჩისარაის შადრევანი". **რუსთაველის სახელობის** — „გრაფის ქვრივი", **მარჯანიშვილის სახელობის** — „გიორგი სააკაძე", **მუსკომედია** — „აზნაურები", **მოზარდ მაყ. თეატრი** — „ცეცხლის ხაზზე" (ღია წარმ.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ცოლი პელაგია, შვილები მარო და კირილე, შვილიშვილი კუკუნკა აქბარდიები, სიძე ილიკო, რძალი თამარ იუწყებიან საყვარელ
ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე აქბარდიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 ს. დაკრძალვა 24/IV 5 ს., სოხუმის ქ. № 7.

გაზ. „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ კირილე აქბარდიას მისი მამის
ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე აქბარდიას
გარდაცვალების გამო.

მაზლები შალვა, დათიკო, კოწია მხეიძეები ცოლშვილით, მულები ქეთევან, მარიამ, ანა, შუშანიკა ქმარშვილით, რძალი ტერეზია შვილებით იუწყებიან რძლის
პატკუ მეძმარიაშვილი-მხეიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/IV თერჯოლაში. 6068

ნინო ჟორდანია ოჯახით იუწყება
პელაგია ანტონის-ასულ დაფქვიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/IV 6 ს. დაკრძალვა 23/IV 4 ს. რუსთაველის პროსპ. 18.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები სა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—31, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—157.